ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მერაბ ყუფარაძე

ნატო არაბული

სპორტული პროექტი „სპორტ-ტრიბუნა“

სამაგისტრო პროგრამა: მედია და ახალი ტექნოლოგიები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

ნინო ჭალაგანიძე

თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკის დოქტორი

თბილისი 2017

ანოტაცია

თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში სპორტის ინდუსტრიას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ის სასიკეთოდ ზემოქმედებს ინდივიდის ჯანმრთელობაზე, ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებასა და ქცევაზე.
სპორტი საღმზრდელობით-გამაჯანსაღებელი დანიშნულების უკეთ წარმოსაჩენად, მისი პოპულარიზაცია და ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სპორტის ინდუსტრიის განვითარების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი მედიას ეკისრება. მედია, მეტ-ნაკლებად, განსაზღვრავს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას და მოსახლეობის სწორ დამოკიდებულებას ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართ.
სახელმწიფო ვალდებულია, სპორტი ჩართოს საზოგადოების სამსახურში და უზრუნველყოს სპორტის გამაჯანსაღებელი და აღმზრდელობითი ფუნქციის მაქსიმალურად წარმატებით გამოყენება, ხელი შეუწყოს სპორტის, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტის, სწორ ინსტიტუციურ საწყისებზე დაფუძნებასა და სპორტის ინდუსტრიის პოზიტიურ გავლენას საფინანსო-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე.

ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სპორტის ინდუსტრიის განვითარების საჭიროება კარგადაა ასახული "სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში", რომელიც 2014 – 2020 წლებში ამ მიმართულებით ქვეყნის სამუშაო გეგმას წარმოადგენს.

უაღრესად მნიშვნელოვანია სპორტის, როგორც სამოქალაქო ერთიანობის ფაქტორის გამოყენება: ეროვნული ნაკრებისა თუ ცალკეული სპორტსმენის წარმატება აერთიანებს განსხვავებული ეროვნების, სქესისა და აღმსარებლობის ადამიანებს და მათ ერთობის მძლავრ განცდას უჩენს. საკმარისია გავიხსენოთ წარმომავლობით რუსი სპორცმენი ლუბა გოლოვინა, რომელიც ოლიმპიურ ჩემპიონატზე საქართველოს წარმოადგენდა, ანწარმოშობით ცხინვალელი სპორტსმენი და ძალოსანთა მწვრთნელი ვანო გრიქურაოვი, რომელმაც 2004 წელს გიორგი ასანიძეს ოქროს მედალი მოაპოვებინა. მისი სიტყვებია: „მახარებს ოქრო. ჩვენ, ქართველები, მაქსიმალისტები ვართ!"

ამდენად, იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: სპორტს ძალუძს, ხელი შეუწყოს ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

სწორედ ამ გამოწვევების წინაშე დგას ქართული საზოგადოება. იგივე მიზეზი განაპირობებს წარმოდგენილი პროექტის მნიშვნელობაც.

ANNOTATION

The sport industry has the most important place in the modern life. It effectively affects the health of the individual, the formation of the value system and the behavior. Promotion and popularization of sports is the most important task for demonstrating the educational and sanitation appointment of sports. The media has the special role in establishing a healthy lifestyle and development of sports industry. The media, more or less, defines the formation of public opinionand the proper attitude of the population towards healthy lifestyle.The government is obliged to involve sports in public services and to ensure using educational and sanitation function of sports more successfully, to promote sports as an important segment of the economy, establishment on a correct institutional basis and the positive influence of the sports industry on the functioning of the financial-economic system. The necessity of healthy lifestyle and sport industry development is well illustratedin "Sports State Policy Document", which is the country's work plan for 2014 – 2020 years. Itsimportant to use the sports as the factory of the unity of civil. The success of a national team or individual athlete combines people of different nationalities, sexes and confessions and gives them a strong sense of unity. It's enough to remember Laura Golovina, a Russian sportsman who represented Georgia at the Olympic championship, or sportsman from Tskhinvali and heavyweight coach VanoGrikurov, who made Giorgi Asanidze to win the gold medal in 2004. These are his words: "Gold makes me feel good, Georgians, we are maximalists!" Thus, one more important factor is being identified: Sports can support the integration of ethnic minorities in the Georgian society. These challenges are facing Georgian society. The same reason is the importance of the submitted project.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 5

- თემის აქტუალობა 5
- კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები 7
- კვლევის ჰიპოთეზა 8
- კვლევის დიზაინი 8
- კვლევის მეთოდოლოგია 9
- ლიტერატურის მიმოხილვა 10

ძირითადი ნაწილი:

I თავი: 12

ქართულ ტელესივრცეში სპორტული მაუწყებლობის ისტორიული ექსკურსი

- მიმოხილვა სახელმწიფო ტელემაუწებლობის მაგალითზე
- მიმოხილვა კომერციული ტელემაუწყებლობის მაგალითზე
- მიმოხილვა საზოგადოებრივი ტელემაუწყებლობის მაგალითზე

II თავი: 23

სპორტულ მაუწყებლობასთან დაკავშირებული რეგულაციების ანალიზი ქართულ კანონმდებლობაში

III თავი: 26

სპორტული ჟურნალისტიკის მნიშვნელობის მიმოხილვა, სიღრმისეული ინტერვიუები

დასკვნა 37

- ძირითადი შედეგები
- რეკომენდაციები

ბიბლიოგრაფია 38

დანართები 39

- ფოტოები
- ხარჯთაღრიცხვა
- სცენარები

შესავალი

ცხოვრების ჯანსაღი წესი ადამიანის კომფორტის, დღეგრძელობის, სოციალურ სივრცეში წარმატებით ფუნქციონირების საწინდარია. თუმცა ეს, ერთი შეხედვით, იოლი და სასურველი გზა, მავანთათვის დაუძლეველ პირობად იქცევა. აღნიშნული პრობლემის მიზეზი კი, ხშირად, ტრივიალური უვიცობაა, ან, უფრო სწორი ფორმულირება რომ გამოვიყენოთ: არასაკმარისი ინფორმირებულობა.

სწორედ ეს საკითხია წარმოდგენილი პროექტის თემაც: რა არის ცხოვრების ჯანსაღი წესის არსი, მისი პრინციპები და დაცვის მექანიზმები.

ცხოვრების ჯანსაღი წესი, უპირველესად, ცხოვრების აქტიური, სათანადოდ დატვირთული რეჟიმია, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობასა და დღეგრძელობასთან უშუალო კავშირშია. ეს ცხოვრების პოზიციაა, ადამიანის მიზანმიმართული მოქმედება საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.

ჯანმრთელობის, კომფორტული მდგომარეობისა და კარგი განწყობის გზა შრომაზე, დატვირთვაზე, მათ შორის, ფიზიკურ დატვირთვაზე გადის. ენციკლოპედიური განმარტებით, „სპორტი გულისხმობს არარეგულარული ან ორგანიზებული სახით ფიზიკური საქმიანობის ყველა ფორმას, რომლის მიზანია ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარება და ყველა დონის შეჯიბრებებზე შედეგების მიღწევა.“

○ თემის აქტუალობა

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, სპორტი და, ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების წესი, წინა პლანზეა წამოწეული. ამიტომ, არცაა გასაკვირი, რომ აქტიურად ხდება მისი პოპულარიზაცია ყველა შესაძლო საშუალებით.

ყველას სმენია ინგლისში ფეხბურთის გულშემატკივართა შესახებ, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკაში რაგბის თამაშის ტრადიციები, კალათბურთის პოპულარობა შტატებში, იაპონიაში კარატესა და სუმოს კულტი, ტაიკვანდოს საოცარი შეჯიბრებები, ასევე, გოლფი და ჩოგბურთი, რომლებიც, თითქოს, მაღალი სოციალური ფენისთვის შეიქმნა და კიდევ უამრავ ქვეყანაში განსაკუთრებულად განვითარებული სპორტის სახეობები.

საქართველო, მიუხედავად თავისი მცირე ტერიტორიულ-დემოგრაფიული მასშტაბებისა, მსოფლიო არენაზე პოზიციონირებასა და საკუთარი სახელის დამკვიდრებას ყოველთვის ცდილობდა.

საბჭოთა კავშირის დროს წინა პლანზე ფეხბურთი იყო, თუმცა იმ პერიოდში ჩვენი ქვეყნის კი არა, საბჭოთა სახელით ვასპარეზობდით. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში წინ წამოიწია სპორტის სხვადასხვა სახეობამ:

- **რაგბმა,** სადაც მსოფლიო ნაკრებებს შორის ერთ-ერთ კონკურენტულ ნაკრებად ვითვლებით და ჩვენი ნაკრების კაპიტანი, მამუკა გორგოძე, უძლიერეს მოთამაშედ არაერთგზის დასახელდა;
- **კალათბურთში** არაერთი წარმატებული მოთამაშე გვყავს: ზაზა ფაჩულია, თორნიკე შენგელია...
- **ჭიდაობა, ძიუდო** სადაც ბევრი ინდივიდუალური ოქრო თუ ნაკრების გამარჯვება გვაქვს მოპოვებული;
- **ჩოგბურთი** სადაც ჩვენი მოთამაშე, ნიკოლოზ ბასილაშვილი მსოფლიო დონის ჩოგბურთელს რაფაელ ნადალს ხვდება...

ცხადია, სპორტის ყველა სახეობაში საქართველო ერთნაირი წარმატებით ვერ ასპარეზობს, თუმცა წარსულის გამოცდილებისა და თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარე, მაინც უდავოა, რომ ის სპორტული ქვეყანაა, სადაც უამრავი ოლიმპიური, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონი გაზრდილა. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, ახალი წარმატებების მისაღწევად და, მეოე მხრივ, სრულიად მოსახლეობის გაჯანსაღებისთვის, სპორტის პოპულარიზაცია და განვითარება ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებაა.

აქვე, წინამდებარე პროექტის აქტუალობის ნაწილში აუცილებელია, აღვნიშნოთ, თუ რას ვგულისხმობთ, როცა სპორტის პოპულარიზაციაზე ვსაუბრობთ.

ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სპორტის პოპულარიზაციისთვის, მისი მრავალმხრივი გაშუქებისთვის საჭიროა როგორც საერთო პროფილის, ისე, დარგობრივ, ე.წ. ნიშურ სამაუწყებლო არხებზე თემატურ გადაცემებს მეტი დრო დაეთმოს, მომზადდეს სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის პროგრამები/თოქ-შოუები. ასევე მნიშვნელოვანია, ქვეყანაში დამკვიდრდეს მასობრივი სპორტული ღონისძიებების კალენდარული აღნიშვნის ტრადიცია, რომლის ფარგლებშიც ქართული სპორტის ოპტიმალური დოზითა და ხარისხით წარმოჩენას შეუწყობს ხელს.

როგოც აღინიშნა, სპორტის შესახებ ინფორმაციის საზოგადოების დიდ ნაწილისთვის მიწოდება მედიის აქტიური ჩართულობის გარეშე შეუძლებელია. თუმცა, მხოლოდ მედია ვერაფერს გახდება, თუკი საკითხის მნიშვნელობა დეკლარირებული არ იქნება სახელმწიფოს მიერ. სწორედ ამ შემთხვევაში მოხდება საზოგადოების ჩართულობაც.

აქვე აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილ პროექტში უმთავრესი როლი საზოგადოების ხმას ენიჭება.

- **კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები**

საკვლევი პრობლემის აღწერილობა: გამოვიკვლიოთ საქართველოს პირველი ტელევიზიის კერძოდ, პირველი არხის ეთერში, სპორტული გადაცემების ტრადიცია; ასევე, საერთო არადარგობრივ პროგრამებში სპორტული თემატიკის გაშუქების მაგალითები. ამ ტიპის გადაცემების გადაცემების არსებობა, და ცნობადობა, საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნამდე . (2005 წლის 18 ივნისი)

სახელმწიფო და საზოგადოებრივი არხების საპირწონედ გავეცნოთ და გავაანალიზოთ კერძო მაუწყებლობაში სპორტულ თემატიკაზე მომზადებული გადაცემების ხვედრითი წილი და ხარისხი.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია დავადგინოთ, რამდენად არსებობდა ჯერ სახელმწიფო, შემდეგ კი საზოგადეობრივი და კერძო არხების პროგრამულ ბადეში სპორტული გადაცემები. როგორი იყო მოთხოვნა მაყურებლის მხრიდან მსგავსი ტიპის გადაცემების მიმართ.
მნიშვნელოვანია საქართველოს ტელესივრცეში ჩვენი კვლევის ობიექტების პროგრამული ბადის კვლევა და იმის განსაზღვრა, რამდენად აქტუალური იყო მსგავსი ტიპის გადაცემები საქართველოს ტელევიზიის შექმნიდან, საზოგადეობრივი მაუწყებლის დაფუძნების ჩათვლით და დღემდე. გვაქვს თუ არა გარღვევები და თუ გვაქვს, რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის ოპტიმიზაციისთვის.
აქვე აღსანიშნავია, რომ კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, საზოგადოებრივ მაუწყებელს ავალდებულებს გათვალისწინებულ იქნას ყველა სეგმენტის ინტერესი. მნიშვნელოვანია იმის კვლევა, თუ რამდენად ითვალისწინებდნენ, ერთი მხრივ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი, და მეორე მხრივ, კერძო მაუწყებლები სხვადასხვა ასაკის და გემოვნების მაყურებლის ინტერესს, რა კონკრეტული გადაცემებით ხორციელდებოდა სპორტული მაუწყებლობა და როგორი იყო გამოხმაურება.
სახელმწიფო ტელევიზიის საეთერო ბადის კვლევა, რომელიც მრავალი წელია არქივის საკუთრებას წარმოადგენს მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება ჩვენი პროექტის ჩამოყალიბების გზაზე.

o კვლევის ჰიპოთეზა

წარმოდგენილი პროექტის კვლევითი ნაწილის ჰიპოთეზა, სავარაუდო მოსალოდნელი შედეგი შემდეგი ფორმულირებითაა წარმოდგენილი:

- ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სპორტით დაინტერესება ქართულ რეალობაში ნამდვილად არსებობს;
- სამაუწყებლო მედია, ძირითადად, საერთოპროფილურ პროგრემულ ბადეში ცალკეულ გადაცემებს, ან, გადაცემაში ცალკეულ სიუჟეტებს გვთავაზობს.
- სპორტის გაშუქების ხარისხი და რაოდენობა არაა საკმარისი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის.

ჩამოთვლილი ჰიპოთეზების გაბათილება ან დადასტურება შესაძლებელი იქნება კვლევის პროცესის კვალდაკვალ. შედეგები აისახება ნაშრომისნარატიული ნაწილის დასკვნაში.

o კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი, ერთი მხრივ, საკვლევი გეგმის კვალდაკვალ ყალიბდება, თუმცა, მეორე მხრივ, თავად კვლევის პროცესში იხვეწება. მკაფიოდ გააზრებული გეგმაცა და სტრუქტურაც უიოლებს მკვლევარს პროცესის თვალყურის მიდევნებას, თუ როგორი წარმატებით გაიარა თითოეული ეტაპი და გადაუხვია თუ არა შემუშავებული მაგისტრალური კურსიდან.

წინამდებარე დიზაინი ქრონოლოგიური პრინციპითაა აგებული, რაც სარჩევშიც იკვეთება. შევისწავლით მოვლენას დროის სხვადასხვა მონაკვეთში.

არქიტექტონიკა ნაშრომისა გამართულია და მკითხველს უიოლებს ინფორმაციის აღქმას. შესავალ ნაწილს მოჰყვება ძირითადი თავები (სულ, 3 ერთ.) და დასკვნა. ნაშრომის დასასრულ ხელმისაჭვდომის ბიბლიოგრაფია და დანართები.

დანართებში განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება დისკზე ჩაწერილი გადაცემის საპილოტე ვერსიას.

o კვლევის მეთოდოლოგია

მანამ, ვიდრე უშუალოდ ნაშრომის მეთოდოლოგიურ ნაწილზე გადავალთ, აღვნიშნავთ პროექტში ჩართული მაგისტრენტებიდან თითოეულის მუშაობის წილს ტექსტური და ვიდეო კონტენტის შექმნაში.

პროექტს ორი ავტორი ჰყავს: ნატო არაბული და მერაბ ყუფარაძე. იდეის ავტორი მერაბია, რომელიც წლებია, სპორტის დიდი გულშემატკივარი და კომენტატორია. მეორე წალია, ტელეკომპანია „რუსთავ-2"-ის ეთერში მიჰყავს დარგობრივი სიუჟეტები. აქვს სხვა მედია საშუალებებში მუშაობის გამოცდილებაც.

ნატო არაბული სპორტის დიდი მოყვარულია და კარგი შემფასებელია. ამიტომაც, ინტერესით შეუერთდა პროექტის მოსამზადებელ პროცესს. სწორედ ნატომ იმუშავა არქივებში, მოიძია და გააანალიზა ტექსტური ნაწილი მაშინ, როცა მერაბი ზრუნავდა რესპონდენტებთან კომუნიკაციაზე (როგორც სინქრონებისა და ინტერვიუებისთვის პროგრამის ვიზუალურ ნაწილში, ისე სიღრმისეული ინტერვიუებისთვის). ასევე სწორედ მერაბია ტელეპროგრამის წამყვანი.

კვლევის მეთოდი: კვლევა ტარდება კონტენტ ანალიზის მეთოდით, საკვლევი პერიოდი (1956-1988) 1999- 2017 წელი. ვიკვლევთ ამ მონაკვეთში რა სპორტული გადაცემები არსებობდა და როგორი იყო სპორტის თემატიკის წილი სხვა საერთოპროფილურ გადაცემებში.

კვლევის კიდევ ერთი მეთოდია ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ. სულ ჩაწერილ იქნა ექვსი რესპონდენტი,. რომელთაგან თითოეული დაკავშირებულია როგორც სპორთის სპეროსთან, ისე ჟურნალისტიკასთან. ამდენად, წყაროთა კომპეტენტურობა და ინფორმირებულობის ხარისხი ეჭვგარეშეა. (კითხვარები იხ. ნაშრომის მესამე თავში).

მეთოდოლოგიის კიდევ ერთი ნაწილია სოციალური კვლევა, რომელიც ფართოდ გამოიყენება მთელ რიგ სოციალურ მეცნიერებებში და გულისხმობს მუდმივ ურთიერთობას დაკვირვებასა და ახსნას შორის, ფაქტების უწყვეტ მოპოვებას ახსნის შემოწმების მიზნით.

ჩვენი მიზანია არა უბრალოდ აღვწეროთ სოციალური მოვლენები, არამედ ავხსნათ კიდეც მათი მიზეზები.

რაც შეეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევას, დავიწყეთ საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზში არსებული მასალის (ბეჭდურად გამოცემული ძველი პროგრამების) შესწავლით, გავიარეთ 80 – 90 – 2000-იანი წლები და გავაანალიზეთ დღეს არსებული ტენდენციებიც.

წინამდებარე ნაშრომის **საკვლევი შეკითხვები** შემდეგი სახითაა ფორმულირებული:

1. როგორი იყო სპორტით დაინტერესების ტენდენცია სახელმწიფო მაუწყებლობის დროს? (ჩართული ამბები საერთოპროფილურ გადაცემებში; დარგობრივი გადაცემები სახელწოდებები, ავტორები, აღწერა, ფორმატი);
2. როგორი იყო და არის სპორტით დაინტერესების ტენდენცია საზოგადოებრივ მაუწყებლობის შემთხვევაში? (ჩართული ამბები საერთოპროფილურ გადაცემებში; დარგობრივი გადაცემები სახელწოდებები, ავტორები, აღწერა, ფორმატი);
3. როგორი იყო და არის სპორტით დაინტერესების ტენდენცია კომერციულ სამაუწყებლო კომპანიაში? (ჩართული ამბები საერთოპროფილურ გადაცემებში; დარგობრივი გადაცემები სახელწოდებები, ავტორები, აღწერა, ფორმატი).

o ლიტერატურის მიმოხილვა

უპირველეს ყოვლისა, აღნიშვნის ღირსია სამართლებრივი ბაზა, რომელიც, უკანასკნელ წლებში გაცილებით მრავალფეროვანი გახდა. ზემოთ არაერთგზის დავასახელეთ სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი (National Sport Policy, 2014), რომელიც სახელმძღვანელოდ გამოვიყენეთ. ის შემუშავებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 22 მაისის N 127 დადგენილებით დამტკიცებული სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და შესაბამისი თემატური ჯგუფების მიერ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურატურაში სპორტის გაშუქებაზე ინფორმაცია ძალიან მწირია და, უპირატესად, მცირე ცნობებით შემოიფარგლება, თუმცა უცხოური საბიბლიოთეკო ბაზები იძლევა საშუალებას, გავეცნოთ დარგობრივ მასალებს.

თემაზე მუშაობისას, გარდა ვრცელი ემპირიული მასალისა, თეორიულ ლიტერატურასაც გავეცანით. წიგნადი მასალების პარალელურად, კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლად ინტერნეტში მოძიებული წყაროებიც გამოვიყენეთ.
სოციალურ ქსელებში ნანახი და შესწავლილი თემატური საჯარო ჯგუფების გარდა, მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია, მეტიც, თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზისად გამოვიყენეთ გლობალურ ქსელში წარმოგენილი რელევანტური წყაროები,

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ წარმოებული კვლევები და მონიტორინგის შედეგები.

ჩვენი კვლევის თეორიულ საფუძვლად გამოვიყენეთ შემდეგი შრომები:

1. Sports journalism, Still the `toy department' of the news media? David Rowe First Published August 1, 2007 Research Article, http://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/1464884907078657;
2. Strength in Numbers? the Experiences and Attitudes of Women in Sports Media Careers Marie Hardin, Stacie Shain First Published December 1, 2005;
3. Pretty Versus Powerful in the Sports Pages, Print Media Coverage of U.S. Women's Olympic Gold Medal Winning Teams, Ray Jones, Audrey J. Murrell, Jennifer Jackson First Published May 1, 1999 Research Article, http://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/0193723599232005 ;
4. Media Coverage of the Female Athlete Before, during, and after Title IX: Sports Illustrated Revisited, Mary Jo Kane, http://journals.humankinetics.com/doi/abs/10.1123/jsm.2.2.87

აქ წარმოდგენილი წყაროები მხოლოდ მცირედი ნაწილია იმათგან, რისი შესწავლაც, კვლევის კვალობაზე გახდა საჭირო.

თავი I

ქართულ ტელესივრცეში სპორტული მაუწყებლობის ისტორიული ექსკურსი

ბიბლიოთეკის თუ ონლაინის საშუალებით გავეცანით ბიბლიოგრაფიას კვლევის მეთოდებისა და სპორტული ჟურნალისტიკის შესახებ.

ჩავატარეთ სახალხო გამოკითხვა და მოვისმინეთ მათი სურვილიები სპორტულ გადაცემასთან დაკავშირებით, რეკომენდაციები რომლებსაც გავითვალისწინებთ ჩვენი პროექტის განხორციელებისას.

რაც შეეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევას, დავიწყეთ საჯარო ბიბლიოთეკაში არსებული მასალის შესწავლით, გავიარეთ 80 – 90 – 2000-იანი წლების პერიოდიკა, სადაც პირველად გამოჩნდა ცნობები სპორტის შესახებ, სტატიები ოლიმპიადაზე, ქართულ ფეხბურთელებზე, მათ შორის ლეგენდარულ დავით ყიფიანზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის სახელით ასპარეზობდნენ. **(იხ.დანართი 1)**

პირველად გაჩნდა ტელეპროგრამებში სპორტული გადაცემა, თუმცა თავდაპირველად ეს მხოლოდ თამაშის პირდაპირი ტრანსლაციის სახით ხდებოდა.

თუკი მსოფლიო მედიას განვიხილავთ სპორტულ ჟურნალისტიკას, როგორც ჟურნალისტიკის ცალკე დარგს, საფუძველი ჩაეყარა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. 1791 წელს ლონდონში გამოვიდა პირველი პროფესიული სპორტული ჟურნალი “The Sporting Magazine”, 10 წლის შემდეგ გამოიცა პირველი ამერიკული სპორტული ჟურნალი “Youthfull Sports”. 1810-იანი წლებიდან ყოველდღიურმა ბრიტანულმა პრესამ დაიწყო სპორტული ინფორმაციების გამოქვეყნება, სპორტულმა მედიამ ფეხი მოიკიდა გერმანიაში, იტალიაში, შვედეთში, საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში. XIX საუკუნის მიწურულს აშშ-ში ასამდე სპორტული ჟურნალი და გაზეთი გამოდიოდა. 1920-იან წლებში სპორტით დაინტერესდნენ ახალფეხადგმული რადიოსადგურები. საფეხბურთო მატჩის პირველი რადიორეპორტაჟი მოეწყო1927 წელს ინგლისში (კომენტატორი ჯორჯ ალისონი). 1927 წლის 6 ნოემბერს ჟენევაში შემდგარი შვეიცარია-შვედეთის ფეხბურთელთა შეხვედრა იყო პირველი საერთაშორისო მატჩი, რომელიც რადიოთი გადაიცა (კომენტატორი ჰანს სუტერი). სპორტის ისტორიაში პირველი სატელევიზიო რეპორტაჟი მოეწყო 1936 წელს ბერლინის XI ოლიმპიური თამაშებიდან (ამავე ოლიმპიადაზე მუშაობდნენ 40-მდე ქვეყნის რადიორეპორტიორები). საფეხბურთო მატჩი (“ლივერპული” -”ვესტ-ჰემი”) ფერადი გამოსახულებით პირველად გადაიცა 1969 წლის 15 ნოემბერს. რაც შეეხება ქართულს, ქართულ პერიოდულ პრესაში სპორტულ თემაზე პირველი პუბლიკაციები 1870-იან წლებში გამოჩნდა. 1925 წელს გამოვიდა ჟურნალი “ფიზიკური კულტურა”, 1927 წელს_ჟურნალი ‘საბჭოთა ფიზკულტურა”. ამას მოჰყვა “თავდაცვა და ფიზკულტურა ” (1928), შემდეგ_კვლავ “საბჭოთა ფიზკულტურა” (1930) და “პროლეტარული ტურისტი” (1932). 1934 წლის 13

აპრილს დაიბეჭდა გაზეთ “საქართველოს ფიზკულტურელის” პირველი ნომერი და ამ სახელწოდებით 1936 წლამდე იარსება. 1936-39 წლებში გამოიცემოდა “ფიზკულტურელის” სახელწოდებით. ამ გაზეთის მემკვიდრე გახდა “ლელო”, რომელიც გამოდის 1949 წლის 10 ივლისიდან. გაზეთის პირველი რედაქტორი იყო მიხეილ კაკაბაძე.1990 წლის დეკემბერში ზურაბ ფოცხვერიას რედაქტორობით გამოვიდა პირველი დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი “სარბიელი”. 1999 წლიდან გამიოცემა გაზეთი “ოლიმპი”, 2002 წლიდან – გაზეთი “სპორტი”. 2005 წლისთვის საქართველოში გამოდიოდა 15-მდე სპორტული გაზეთი და ჟურნალი. საქართველოს რადიოსა და ტელევიზიაში სპორტული ამბების გაშუქება დაიწყეს 1950-იანი წლების მიწურულს. 1956 წლის 30 დეკემბერს ჯერ თბილისში და შემდეგ მთელ საქართველოშიც პირველად დაიწყო ქართული ტელემაუწყებლობა. 1957 წლის შემოდგომაზე თბილისის ტელესტუდიამ მიიღო მოძრავი ტელესადგური, რამაც პირდაპირ ეთერში სპორტული და კულტურული ღონისძიებების გადაცემა გახადა შესაძლებელი.პირველ სპორტულ რეპორტაჟებს უძღვებოდნენ პიერ კობახიძე, აკაკი ძიძიგური, ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე, ნოდარ გიორგობიანი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის ღვაწლი. მოძრავი სატელევიზიო სადგურით ერთ-ერთი პირველი სპორტული რეპორტაჟი მოეწყო 1958 წელს თბილისის “დინამოს” სტადიონიდან, სადაც ამხანაგური მატჩი გამართეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს კალათბურთელებმა. რეპორტაჟი მიჰყავდა კოტე მახარაძეს. სატელევიზიო სპორტულ გადაცემებს ამზადებდნენ თამაზ ხომერიკი და ბექარ მემმარიაშვილი. მათივე თაოსნობით მომზადდა პირველი სპორტული ტელეჟურნალი “სპორტი”, მოგვიანებით კი შეიქმნა სპორტულ გადაცემათა რედაქცია. მას სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ რევაზ ურუშაძე, გივი ჭელიძე, ლერი ჩანტლაძე, ვალერიან სულაკაური, დავით ქლიბაძე. ამ რედაქციასთან თანამშრომლობდნენ ნუგზარ ჯუღელი, თენგიზ ნათაძე, ჯამლეტ ხუხაშვილი, თემურ ჯაფარიძე და სხვა ცნობილი კომენტატორები. საქართველოს რადიოს სპორტულ რედაქციას განაგებდა თამილა კახიძე. პირველი ქართული სპორტული გაზეთი ,,ლელო” ჯერ კიდევ 1934 წლიდან გამოდიოდა და ყოველდღიურად, გარდა კვირისა, აწვდიდა სპორტულ სიახლეებს მის მკითხველს. გაზეთის შემდეგ შემოვიდა რადიო და შემდეგ ტელევიზია, რომელიც დღემდე ყველაზე ფართოდ გავრცელებული მედია საშუალებაა. თუმცა ბოლო პერიოდში საკმაოდ დიდ კონკურენციას უწევს ონლაინ მედია.

ტელევიზიის განვითარებას თავისი საფეხურები აქვს და დროთა განმავლობაში უფრო მეტი ფორმა და საშუალებაა ინფორმაციის მრავალფეროვნად და უფრო საინტერესოდ გადმოსაცემად.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მსოფლიოში დამკვიდრდა და არსებული პრაქტიკით ერთმანეთისგან გაიმიჯნა ტელევიზიის სამი ძირითადი ფორმა: სახელმწიფო, კომერციული და საზოგადოებრივი, თუმცა , რიგ შემთხვევებში, მათ შორის საზღვარი

საკმაოდ პირობითია. ტელევიზიის ძირითად ფორმებს შორის სხვაობის დადგენის შემდეგი კრიტერიუმები არსებობს:

- დაფინანსების წყარო;
- კონტოროლის ხასიათი, ზომა და ხერხები(აშკარად ან ირიბად განიცდის ცენზუის გავლენას თუ ცენზურისგან თავისუფალია);
- ხელისუფლებასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხასიათი და ფორმები.

სახელმწიფო ტელევიზია. სახლემწიფო სტატუსის მატარებლად ითვლება ტელე-რადიოკომპანია, რომლის აქციების არანაკლებ 51%-ს სხვადასხა სახელმწიფო უწყებები ფლობენ. სახელმწიფო ტელეკომპანიის დაფინანსება ხორციელდება უპირატესად საბიუჯეტო სახსრებიდან.

სახელმწიფო ტელევიზია ემსახურება რეალურ, მოცემულ მომენტში სახელისუფლო ელიტას, მის მიერ კონტროლდება და, რა თქმა უნდა, ფინანსდება. მოსახლეობა ხშირად ეწინააღმდეგება ასეთი ტიპის ტელევიზიას და სწორედ ამიტომ XXI საუკუნის დამდეგს ჭარბობს კომერციული და საზოგადოებრივი ტელევიზია.

მიუხედავად სახელმწიფო ტელევიზიის შეზღუდვის ტენდენციისა, ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში აღიარებენ, რომ სახელმწიფო ტელეარხების შენარჩუნება აუცილებელია,რადგან:

- ემსახურებიან მოსახლეობის ყველა ფენას(კომერციული ემსახურება მასობრივ აუდიტორიას);
- იცავენ და ავითარებენ ეროვნულ კულტურას, ტრადიციებს, ისახავენ საგანმანათლებლო მიზნებს;
- აერთიანებენ ქვეყნის მოსახლეობას ცენტრალური ხელისუფლებისა და ერთიანი ეროვნული იდეის გარშემო.

კომერციული ტელევიზია. კერძო ანუ კომერციული ეწოდება ტელეკომპანიას, რომელიც დაფუძნებულია ნებისმიერი იურიდიული პირის თუ მოქალაქის მიერ, გარდა სახელმწიფო ორგანოებისა. კომერციული ტელევიზია აშშ-ში წარმოიშვა და ემყარებოდა კომერციული რადიომაუწყებლობის ორგანიზაციულ გამოცდილებას.

კომერციული ტელევიზიის არსებობისა და მოგების სისტემატური მიღების წყაროს ტელეპროგრამებში რეკლამის ჩართვა იძლევა, რაც არ გამორიცხავს კომერციული ტელეკომპანიების რეკლამის განმთავსებელი ბიზნესწრეებისა და არაპირდაპირ ხელისუფლების ზეწოლის ქვეშ მოქცევასაც.

კომერციულ ტელევიზიაში, როგორც წესი, ცენზურა არ არსებობს და შინაარსობრივ კონტროლს ახორციელებნ მფლობელთა საბჭოები.

საზოგადოებრივი ტელევიზია. საზოგადოებრივი ტელევიზია წარმოიშვა ევროპაში და შეიძლება განვიხილოთ როგორც დემოკრატიის მნიშვნელოვანი მონაპოვარი. იგი

ცდილობს საზოგადოების კონტროლს დაუქვემდებაროს საინფორმაციო-პროპაგანდისტული საქმიანობა. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნა რეაქცია იყო ამერიკული კომერციული ტელევიზიის მოდელზე, რომელიც პედაგოგიკური, ესთეტიკური და უფრო ფართოდ - სოციოკულტურული თვალსაზრისით - სულაც არაა უვნებელი საზოგადოებისათვის.

საზოგადოებრივ ტელევიზიას აფინანსებს თავად საზოგადოება, ემსახურება საზოგადოებას და მის მიერვე კონტროლდება. ფართოდაა გავრცელებული ევროპაში: ბი-ბი-სი დიდ ბრიტანეთში, ა-ერ-დე გერმანიაში, სკანდინავიის ტელევიზია და ა.შ.

ქართულ ტელევიზიას 5 პერიოდი აქვს:

პირველ პერიოდში (1957 – 64) თბილისის ტელესტუდია ჩამოყალიბდა როგორც მასობრივი ინფორმაციის ახალი საშუალება - ხელოვნების რეპროდუქტორიდან და ტრანსლატორიდან იგი იქცა ჟურნალისტიკის სახეობად,აქედან გამომდინარე სოციალური ფუნქციებით. მოხდა მაუწყებლობის გარკვეული დიფერენცირება, რასაც მოჰყვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მხატვრული და საბავშვო-ახალგაზრდული მთავარი რედაქციების შექმნა.

მეორე პერიოდში (1965-72) ქართულმა ტელემაუწყებლობამ მოიცვა რესპუბლიკის უდიდესი ნაწილი. დაიწყო მაუწყებლობა ფერადი გამოსახულებით. დაარსდა სატელევიზიო ფილმების სტუდია. გაიხსნა მეორე სამაუწყებლო არხი და ჩამოყალიბდა სასწავლო-საგანმანათლებლო მაუწყებლობა. რესპუბლიკური პროგრამა საბოლოოოდ ჩამოყალიბდა როგორც ეღტიანი ინფორმაციულ-პოლიტიკური, მხატვრული და სასწავლო საგანმანათლებლო გადაცემების სისტემა.

მესამე პერიოდში (1973-1985) საქართველოს ტელევიზია ხელისუფლების ნამდვილ მმართველნით სტრუქტურად იქცა, აქტიურად ჩაერთო მასობრივი ცნობიერების სათანადო მიმართულებით ფორმირებაში. მობილური სატელევიზიო ტექნიკისა და ვიდეოჩანაწერის განვითარებამ შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული მოვლენის ფიქსაცია და ტელევიზია ეპოქის ჭეშმარიტ მემატიანედ ექცია.

მეოთხე პერიოდი მძიმე ქვეყნის შიდა პოლიტიკურ მძიმე პერიოდს (1986-91) წლებს დაემთხვა და შემოქმედებითი თვალსაზრისით საქართველოს ტელევიზიისთვის ეღტგვარი გარდამავალი პერიოდი იყო კომუნისტური მედიიდან ლიბერალურ-დემოკატიულ მედიაზე გადასვლისა და ამ პერიოდით მთავრდება კიდეც ქართული საბჭოთა ტელემაუწყებლობა.

საქართველოს ტელევიზიის ისტორიის მე-5 პერიოდი (1992-2004)თითქმის მთლიანად განისაზღვრებოდა ქვეყანაში არსებული მდგომარეობით. საქართველოს ტელევიზია რეალურად იქვცა დამოკიდებელი, სუვერენულის სახელმწიფოს ტელევიზიად. სახელმწიფო აღარ შეეძლო ტელევიზიის სრულად დაფინანსება და მან რეკლამის ხარჯზე,საეთერო დროის გაყიდვით დაიწყო დამატებითი საარსებო საშუალების

მოპოვება, იქცა ნახევრად კომერციულ სტრუქტურად. 2004 წლის ბოლოს დემოკრატიული ჟურნალისტიკის პრინციპების შესაბამისად საქართველოს ტელევიზია გამოვიდა სახელმწიფოს მმართველობიდან და გარდაიქმნა საზოგადოებრივ მაუწყებლად. ამით დასრულდა საქართველოს სახელმწიფო ტელემაუწყებლობის ისტორია და დაიწყო მაუწყებლობის ახალი ეტაპი.

ქართულ ტელევზიაში პირველად 1964 წელს ჩნდება სპორტზე ინფორმაცია და იქმნება სპორტულ გადაცემათა რედაქცია . ეს პერიოდი ქართული ტელემაუწყებლობის განვითარების პირველი პერიოდის დასასრულს მოიცავს და 1964 წლისთვის თბილისის ტელესტუდიის ორგანიზაციულ-შემოქმედებითი სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა:

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემათა მთავარი რედაქცია: პროპაგანდის რედაქცია, სოფლის მეურნეობის რედაქცია, მრეწველობის რედაქცია, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური ცოდნის რედაქცია, ახალი ამბების რედაქცია, რუსულ გადაცემათა რედაქცია;

მხატვრული პროგრამების მთავარი რედაქცია: ლიტერატურულ-დრამატული გადაცემების რედაქცია, მუსიკალური გადაცემების რედაქცია, საკონცერტო-საესტრადო გადაცემების რედაქცია, კინოპროგრამების რედაქცია;

საბავშვო, ახალგაზრდულ სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქცია: საბავშვო და საყმაწვილო გადაცემების რედაქცია, ახალგაზრდული გადაცემების რედაქცია, სპორტული გადაცემების რედაქცია, სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ ,,ოქროპირის“ რედაქცია;

პროგრამებისა და გამოშვების მთავარი რედაქცია (საერთო საკომიტეტო): გამოშვების რედაქცია, ხმის რეჟისორების ჯგუფი, ტელეოპერატორთა ჯგუფი, წერილების განყოფილება, ფილმოთეკა, საწარმოო განყოფილება, საწარმოო საამქრო, სამხატვრო-სადადგმო საამქრო, კინოგადაღებათა საამქრო.

ამ დროისათვის ტელესტუდიის თანამშრომელთა რიცხვმა 236-ს მიაღწია.

1957 წელს პიველად გამოჩნდა ეთერში სატელევიზიო ჟურნალები და მათ შორის ,, სპორტული ჟურნალი“ და ,,სპორტი“.

ამავე წლის შემოდგომაზე თბილისის ტელესტუდიამ მიიღო უცხოური წარმოების მოძრავი სატელევიზიო სადგური (მსს), რითაც, შეიძლება ითქვას, ახალი ერა იწყება ქართულ ტელემაუწყებლობაში - შესაძლებელი ხდება პირდაპირი ტრანსლაციების მოწყობ თეატრებიდან, საკონცერტო დარბაზებიდან, სტადიონებიდან და , საერთოდ , მნიშვნელოვანი მოვლენების ადგილებიდან. ფაქტობრივად , საფუძველი ეყრება სატელევიზიო რეპორტაჟის განვითარებას და იგი იქყება სპორტული რეპორტაჟით, რომელსაც მანამდე საქართველოს რადიოში დიდი ტრადიციები გააჩნდა. 1957 წლის თებერვალში ეკრანზე გამოვიდა პირველი ტელეჟურნალი მოსწავლეთათვის

,,საქართველოს პიონერი“, რომელშიც აისახებოდა სასკოლო და პიონერული ცხოვრება, მოსწავლეთა სემოქმედებითი და სპორტული წრეების საქმიანობა და ა.შ. ამავე წლის 15 სექტემბერს მოეწყო ა/კ სამხედრო ოლქის სპორტული კლუბისა და ფრუნზეს ,,სპარტაკის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის მეორე ტაიმის საცდელი რეპორტაჟი თბილისი ,,დინამოს“ სტადიონიდან. სპორტული ტელერეპორტაჟის დაბადება ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის სახელებს უკავშირდება.

1959 წელს თბილისის ტელესტუდიამ პირველად დაიწყო ბავშვებისათვის დილის ვარჯიშის გადაცემა. იგი 5 წლის მანძილზე ყოველ კვირა დღეს იყო ეთერში 12 საათზე სახელწოდებით ,,ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“(15-20 წუთი). სპორტულ თემატიკას ეძღვნებოდა აგრეთვე ციკლები ,,ჩვენ გვიყვარს სპორტი“ (1960-63) და ,,ჩვენ მხიარულად ვისვენებთ“(საზაფხულო პიონერული ბანაკების ცხოვრებაზე - 1960).

სპორტულ ტელეჟურნალისტიკას , ახალგაზრდულთან ერთად, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემათა მთავარ რედაქვიაში ჩაეყარა საფუძველი. ცალკეულ გადაცემას 1957 წელს მოჰყვა სატელევიზიო ჟურნალი ,,სპორტი:, რომელსაც 1964 წელს ,,ირმის ნახტომი“ ეწოდა. სპორტული მაუწყებლობა განსაკუთრებით პოპულარული გახდა თბილისის ტელესტუდიის მოძრავი სატელევიზიო სადგურით აღჭურვის შემდეგ. თავისი უკომპრომისო პაექრობითა და მოულოდნელი სიტუაციებით სპორტი იდეალური სფერო აღოჩნდა ტელევიზიისთვის. მან ფეხბურთისა და კალათბურთის მატჩების თუ სხვა სპორტული სანახაობების ,,დამსწრეებად“ აქცია ათასობით ტელემაყურებელი. სპორტული გულშემატკივრების დიდ ინტერესს იწვევდა აგრეთვე ციკლები - ,ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები“ (1958-62), ,,სპორტული გადაცემა“ (1962-63), ,,სპორტული კვირეული“ (1964), ,,ლახტის წრეში“ (კრიტიკული ხასიეთის - 1964), სხვა ცალკეული გადაცემა. 1962 წლის ივნისში გადაიცა პირველი სპორტული ვიქტორინა. სპორტული ტელემაუწყებლობის მზარდმა პოპულარობამ განაპირობა 1964 წლის მარტში სპორტულ გადაცემათა რედაქციის შექმნა (უფროსი რედაქტორი რევაზ ურუშაძე, კორესპონდენტი თენგიზ შველიძე, რეჟისორის ასისტენტი კლარა აბრამია) - მას დიდი წვლილი მიუძღვის 1964-65 წლებში თბილისის ქუჩებისა და ეზოების ბავშვთა ტურნირის ორგანიზებაში ,,ტყავის ბურთის“ პრიზზე, რომელიც იმ დროს საკავშირო მასშტაბით ეწყობოდა.

საქართველოს ტელევიზიის ისტორიის მეორე პერიოდის (1965-1972) დროს უფრო აქტიური გახდა სპორტული ტრანსლაციები. ამ პერიოდის ბოლოს ტელევიზიის ორგანიზაციულ-შემოქმედებითი სტრუქტურა რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი, სადაც კვლავ გვხდება სპორტი აქტიურად თემად და შედის მეორე, ინფორმაციის მთავარ რედაქციაში (ახალი ამბების“ რედაქცია, გაცვლითი ,,ახალი ამბების“ რედაქცია, სპორტულ გადაცემათა რედაქცია) - მთავარი რედაქტორი თ. ხომერიკი

1966 წლის 1 ოქტომბერს სპორტის სასახლიდან ტრანსლირებულ იქნა თეატრალიზებული წარმოდგენა ,,ოდა რუსთაველზე“, 2 ოქტომბერს კი მოეწყო

რუსთაველის 800წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული დღესასწაულის რეპორტაჟი ,,ლოკომოტივის“ სტადიონიდან

1966-72 წლებში გაიზარდა სპორტული მაუწყებლობის მოცულობაც(ამ პერიოდში სპორტულ რედაქციას ხელმძღვანელობდნენ ლერი ჩნატლაძე, ვალერიან სულაკაური, გია კუპრავა, დავით ქლიბაძე). ადრინდელ ციკლებს - ,,ლახტის წრეში“ (1965-72), ,,სახელოვანი სპორტსმენები“ (1965-71), ,, სპორტული გადაცემა“ (1966) და სატელევიზიო ჟურნალ ,,ირმის ნახტომს“ (1965-71) დაემატა ,, ათლეტიზმის სატელევიზიო კლუბი“ (1958-69), ,,დამწყები სპორტსმენის სკოლა“ (1958), სატელევიზიო ჟურნალი ,,ფეხბურთი“ (1970 - რამდენიმე გამოშვება). პოპულარული სპორტული ჟურნალისტი დავით ქლიბაძე პირადი კონტაქტების საფუძველზე ახერხებდა ცერნტრალურ ტელევიზიიდან უნიკალური ვიზუალური მასალი მოპოვებას მსოფლიო სპორტის შესახებ და ქართველ სპორტის მოყვარულებს უჩვენებდა ისეთ მატჩებს, სპორტულ სანახაობებსა და ინტერვიუებს, რაც საკავშირო მაყურებლებისათვისაც კი მიუწვდომელი იყო (მისი რამდნეიმე გადაცემის ანალოგი საკავშირო ეკრანზე მხოლოდ 1982 წლის შემდეგ გამოჩნდა). კარგა ხანს შემორჩა ტელეპროგრამას ,,სპორტული მიმოხილვა“, რომელიც მიჰყავდა სპორტულ კომენტატორს კოტე მახარაძეს. სპორტულ სიახლეებს ეხებოდა გადაცემები: ,,სპორტული კვირეული“(1971-72) და ,,სპორტული პანორამა“ (1972).

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია გადაცემათა ციკლმა ,,ქართული სპორტის მატიანე“ (1970), რომელსაც ჟურნალისტი ნოდარ გუგუშვილი ამზადებდა და ეთერში უძღვებოდა ფეხბურთის ლეგენდარული კომენტატორი ეროსი მანჯგალაძე. მნიშვნელოვანი იყო ჭადრაკის მოყვარულთათვის სატელევიზიო ჟურნალ ,,სამორინეს“ დაარსება (1968-72), ასევე ,,მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის“(1969) და ,, საჭადრაკო მიმოხილვა“ (1972 - ს7 გადაცემა). სისტემატიურად ეწყობოდა სპორტული შეჯიბრებებისა და ღონისძიბებეის პირდაპირი ტრანსლაციები. 1969 წელს სპორტული რედაქცია გამოეყო საბავშვო და ახალგაზრდულ მთავარ რედაქციას: ,, ვემზადებით საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის“ (1970-71), ,,სსრკ-ის ხალხთა სპარტაკიადის დღიური“ (1971) და სხვა. სპორტული რედაქციის მიერ ორგანიზებული ,, ტელეშეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში“ (1968), ,,ტელეტურნირი - დიმიტროვის სახელობის საავიზაციო და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების ფიზკულტურული კოლექტივების შეხვედრა“(1972).

1973-85 წლებში სპორტული მაუწყებლობის სტრუქტურას დიდი ცვლილებები არ განუცდია.. იგი ძირითადად ორ მიმართულება სმოიცავდა - სპორტული მატჩებისა და შეჯიბრებების ტრასლაცია დათემატურ გადაცემებს სპორტული ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე. პირველი მათგანი განსაკუთრებით პოპულარული იყო, რადგან საშუალებას აძლევდა ასი ათასობით ტელემაყურებელს უშუალოდ მიმდინარეობის პროცესში ,,დასწრებოდა“ სპორტულ შეჯიბრებას, ენახა არა მხოლოდ შედეგი, არამედ ბრძოლის პროცესიც - სპორტსმენების პიროვნული ხასიათი,განწყობა, გამარჯვების სიხარული თუ დამარცხები სიმწარე. 1980 წელს ოლიმპიურ თამაშებზე მოსკოვში თბილისიდან

რამდნეიმე ბრიგადა იყო მიწვეული და ყველაზე საპასუხიმგებლო რეპორტაჟები პირდაპირ ეთერში სწორედ ქართველ ტელერეჟისორებსა და ოპერატორებს მიჰყავდათ.. ამ პერიოდში საქართველოს მხოლოდ ერთი პროფესიონალი კომენტატორი ჰყავდა - კოტე მახარაძე, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე ერთნაირად ოსტატურად უძღვებოდა რესპუბლიკურ თუ საერთასორისო ტრანსლაციებს.

სპორტული მაუწყებლობის მეორე მიმართულება გადაცემების რამდენიმე ჯგუფს მოიცავდა. პიველი, ეს იყო ტრადიციული ინფორმაციულ-გასართობიპროგრამები: ,,სპორტული კვირეული“ (1973-74), ,,სპორტული პანორამა“ (1973-78), ,, სპორტული პროგრამა“ (1981-85) და, რა თქმა უნდა , ,,სპორტული კალეიდოსკოპი“ (1976-84), ,,ევროპის სტადიონებზე)1973, 1983-85). 1986 წლიდან ,,სპორტულ კალეიდოსკოპს“ ,,45წუთი“ დაერქვა., ხოლო 1977 წელს ,,დრიბლინგი“ - ავტორი და წამყვანი დავით ქლიბაძე - სიუჟეტები ინგლისიდან,იტალიიდან, ესპანეთიდან, იაპონიიდან, ბრაზილიიდან, მექსიკიდან. ანალიტიკური გადაცემა ,,სპორტული მიმოხილვა“ (1974-80), წოველ სამშაბათს კვირის მიმოხილვა. 1981-82 წელს გადიოდა ,,ჩვენი სპორტის პრობლემები“, რომლის მთავარი მიზანი იყო თითო გადაცემა სპორტის რომელიმე კონკრეტულ სახეობას დათმობოდა და მისი პრობლემები განეხილა.

ნაკლებად პოპულარული იყო პრესკონფერენციათა ციკლი ,,გულშემატკივართა კლუბი“ (1980-81). სადაც მონაწილეობდნენ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მწვრთნელები, წყალბურთელები, მოჭიდავეები, მოწადრაკეები და ა.შ.

სპორტის პოპულარიზაციას ეწეოდა აეგრეთვე 1970წელს დაწყებული ციკლი ,,ქართული სპორტის მატიანე“ (1982-85).სწორედ მან უჩვენა პირდაპირი ეთერი 1981 წელს დუსელდორფიდან, სადაც თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ევროპის თასი მოიპოვეს.

1986-1991 წლები ერთგვარი გარდამავალი პერიოდი იყო საქართველოს ტელევიზიისათვის საბჭოთა მედიიდან ე.წ. ლიბერალურ-დემოკრატიულ მედიამდე, როცა იგი, მითიური კენტავრის მსგავსად, ორივეს ფორმებს აერთიანებდა და ძველი მეთოდებით ცდილობდა ახალი მიზნების მიღწევას. რა თქმა უნდა ამ პერიოდისთვის სპორტი და სპორტული გადაცემები ნაკლებად პოპულარული იყო და სატელევიზიო გადაცემათა ბადეში თითქმის არ ფიგურირებდა თუ პატარა გამონაკლისებს არ ჩავთვლით. 90-იანი წლების პირველი წლით, ფაქტობრივად, მთავრდება ქართული საბჭოთა ტელევიზიის ისტორია და იწყება მისი განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქას.

საბჭოთა კავშირის დაშლამ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად განსაზღვრა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში დემოკრატიზაციის პროცესის განვითარება, რომლის ერთ-ერთი შედეგი იყო ხელისუფლების კონტროლის გაუქმება მსობრივი ინფორმაციის

საშუალებებზე მისი დემონოპოლიზაცია და დეცეტრალიზაცია. სხვებთან ერთად ცვლილება განიცადა ტელევიზიამაც. 90-იანი წლებიდან სახელმწიფო ტელევიზიის პარალელურად შესაძლებელი გახდა კერძო, დამოუკიდებელი კომერციული ტელემაუწყებლობის ორგანიზაცია. რამაც ზეგავლენა მოახდინა სახელმწიფო ტელევიზიაზე, რომელმაც დაკარგა ეთერში თავისი მონოპოლიური მდგომარეობა და საქმიანობა მოუხდა მაუწყებლობის საყოველთაო პლურალიზმის პირობებში.

საქართველოს ტელე-რადიო მაუწყებლობა სახელმწიფო სტრუქტურებს გამოეყო 1992 წელს, როცა მას კორპორაციის სტატუსი მიენიჭა. მანამდე დეპარტამენტად იწოდებოდა და აღმასრულებელ ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. 1991 წლიდან აფხაზეთის ტელე-რადიოკომიტეტი, სამხრეთ ოსეთის რაიოკომიტეტი და აჭარის ტელე-რადიოკომიტეტი მას პრაქტიკულად აღარ ექვემდებარებოდა. დეცენტრალიზაცია მოხდა მხოლოდ კორპორაციის შიგნით. 1 ტელეარხზე შეიქმნა ორი კომპანია. II არხს აესევე ეწოდა კომპანია. ცალკე კომპანიად ჩამოყალიბდა რადიომაუწყებლობა, ტელეფილმების გაერთიანება და ტელერადიოცენტრი, ჩამოყალიბდა აგრეთვე აჭარის ტელე-რადიო კომპანია და მოგვიანებით, 1994 წლის ზაფხულში - დასავლეთ საქართველოს ტელეკომპანია „ივერიონი“.

1993 წლის 12 იანვრის ბრძანებით „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის“ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სამსახურის ბაზაზე შეიქმნა სამი ტელე და ერთი რადიოკომპანია, სადაც სატელევიზიო გადაცემათა ბადეში სპორტი კვლავ მოხვდა: 1 - ტელეკომპანია „ საქართველო“ (მხატვრულ-გასართობი და საგანმანათლებლო პროგრამების შემქმნელ შემოქმედებოთ გაერთიანებებსა და მთავარ რედაქციებს მოიცავდა: „არსი“, „სხივი“, „თეატრონი“, „კავკასია“, „ლაშარი“, საბავშვო-საყმაწვილო გადაცემების მთავარი რედაქცია, მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქცია, სამეცნიერო-პოპულარული და საგანმანათლებლო პროგრამების მთავარი რედაქცია, სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქცია); 2. ტელეკომპანია „რესპუბლიკა“; 3. ტელეკომპანია „II არხი“; 4.რადიოკომპანია; 5. შემოქმედებითი-საწარმოო გაერთიანება „საქტელფილმი“

1999წელს ,,I არხი“ დაიყო ექვს ძირითად მიმართულებად, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ მთავარი პროდიუსერები. ამ პერიოდში სპორტულ პროგრამებს დავით ქლიბაძე ხელმძღვანელობდა.

საქართველოში პირველი დამოუკიდებელი კომერციული ტელევიზია „მერმისი“ ეთერში გამოჩნდა 1991 წლის 3 იანვარს (თუმცა ეს დამოუკიდებლობა საკმაოდ ეფემერული იყო, რადგან კომპანია იყენებდა სახელმწიფო ტელევიზიის ტექნიკურ საშუალებებს, სტუდიებს, II პროგრამის არხს დეციმეტრულ დიაპაზონში და ა.შ.). იმ პერიოდში არსებული სახემწიფო მდგომარეობიდან გამომდინარე და კიდევ სხვა მიზეზების გამო ,,მერმისი“ ივნისის მეორე კვირიდან ეთერში აღარ გამოჩენილა.

90-იანი წლებში შეიქმნა დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ რუსთავი 2“, რომელიც საკმაოდ განსხვავდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლისგან. მეოცე საკუნის მიწურულსა და 21 საუკუნის დასაწყისში კიდევ უფრო გააქტიურდა „ რუსთავი 2“ თავისი თამამი განაცხადებითა და უახლესი ტექნიკით. თუმცა ორივე არხზე სპორტი ჯერ კიდევ საინფორმაციოს მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავდა.

საქართველოს ტელევიზიის კულტურულ-საგანმანათებლო პროგრამები 1992-2004 წლებში ფაქტობრივად ორ მიმართულებას მოიცავდა - ტრადიციულ გადაცემებს ლიტერატურაზე, ხელოვნებასა თუ მეცნიერებაზე და უფრო დიდი ზომით „მასობრივ კულტურას“ უცხოური დაბალხარისხიანი კინოპროდუქციის , უცხოური გადაცემების მიბაძვით შექმნილი გასართობი პროგრამებისა და მრავალნაირი კონკურსების სახით. ამ პერიოდში სპორტი, პირველ ყოვლისა ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების, სპორტის სხვადასხვა სახეობის მსოფლიო ჩემპიონატების, ფეხბურთისა და კალათბურთის მატჩების თუ სხვა სპორტული შეჯიბრებების პირდაპირი ტრანსლაციების სახით იყო წარმოდგენილი. ამას ემატებდა ყველაზე საინტერესო სპორტული მოვლენების ვიდეოჩანაწერები, სპორტული მიმოხილვები. უდიდეს ინტესრესს იწვევდა სპორტული პროგრამები : „45 წუთი“ (1992-96), „ფეხბურთი საზღვრებს გარეშე“(1991წლიდან), „ფეხბურთი უსაზღვრებოდ“ (1994), NBA-ის აშშ-ის კალათბურთის ნაციონალურილი ასოციაციის - თამაშები, „საკალათბურთო მიმოხილვა“ (1993-94), „მაიკლ ჯორდანი - აშშ-ს N1 კალათბურთელი“(1993), „სპორტინფო“ (1994-95), „5X5“(1995), ,,სპორტული ესტაფეტა“ (1995-97), „სპორტული კურიოზები“ (1996), „გოლი“(1997-2000), „დრიბლინგი“ (1997-2000), ,,სუპერმატჩი“ (1997-2001), „რაგბი“(1997-99), „რაგბის მოყვარულთათვის“(1998-2002), „ესქტრემალური სპორტული თამაშები“ (1998), „ოვერტაიმი“ (2000-2001), „ავტოსპორტი“(1997-2001), „ავტოშოუ“(1999-2001), „ოქტაგონი“ (1997-2004) და სხვ. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე სპორტის სხვადასხვა საკითხზე მომზადებული გადაცემებიც: ,,სპორტული პანორამა“ (1992-93), „ასპარეზი“ (1994-99), „საუკეთესო სპორტსმენები“ (1999), „ჩემპიონი“ (2003-2004) და ა.შ. იყო ასევე ,,აერობიკა“ რომელიც ვიზუალით უფრო საინტერესო იყო მაყურებლისთვის ვიდრე შინაარსით.

რაც შეეხება ჩვენი გადაცემის მსგავს გადაცემებს, ამ სტილში მხოლოდ სამია:

- **„სპორტი 360 გრადუსი“**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერშია ყოველ სამშაბათს 22:00 საათზე.

გადაცემა რამდენიმე ნაწილისგან, რუბრიკისგან შედგება. სტუმრის ბლოკი დ ამთავარითემა - გადაცემის ამ ნაწილში ხდება სპორტული მოვლენის ანალიზი მოწვეულ სტუმართან ერთად, პრობლემის დასმა, გამოსავლის ძიება;

ურბან სპორტი - ურბანულად დანახული სპორტული სამყარო; პორტრეტი - რუბრიკა სპორტსმენების პიროვნულ მხარესა და სპორტულ მიღწევებზე; ინტერაქციული რუბრიკა - მაყურებელს საშუალება აქვს ფეისბუქ გვერდზე დააფიქსიროს საკუთარი აზრი, უპასუხოს გადაცემაში დასმულ შეკითხვებს ან თავად დასვას კითხვა.

- **„სპორტისდაფა“**

გადაცემა **"სპორტისდაფა"** საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს, 20:40 საათზე.

"სპორტის დაფა" მაყურებელს ქართული და მსოფლიო სპორტის აქტუალურ სიახლეებს გააცნობს. დღის თემას გადაცემის წამყვანი მოწვეულ სტუმართან ერთად მიმოიხილავს. რუბრიკაში "ამბების დაფა" თავმოყრილი იქნება გასული და მიმდინარე დღის ყველაზე საინტერესო ამბები.

"სპორტის დაფა" მაყურებელს გამოწვევებსაც შესთავაზებს - ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება ცნობილ სპორტსმენებს დაუპირისპირდეს, მათ მიერ შესრულებული სხვადასხვა აქტივობა გაიმეოროს და ამის ამსახველი ვიდეომასალა რეგულარულად მოხვდება გადაცემაში. ყველაზე მეტი გამოხმაურების მქონე ვიდეოების ავტორები სამახსოვრო პრიზებს მიიღებენ.

გადაცემაში ყურადღება დაეთმობა საქართველოში სპორტის ნაკლებად პოპულარულ სახეობებსაც, მათ შორის ელექტრონულ სპორტს.

გარდა ამ ორი გადაცემისა, ახლო წარსულში ტელეკომპანია „რუსთავი 2“–ის ეთერში გადიოდა სპორტული გადაცემა **„სპორტ TIME”**, რომელიც თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიადის ფარგლებში შეიქმნა, თუმცა მისი დასრულების შემდგომაც გაგრძელდა. ამ გადაცემაში აქცენტი კეთდებოდა ქართულ სპორტზე. გადაცემას ჰქონდა მთავარი თემა, რომელიც მთელი კვირის მანძილზე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო და გვაცნობდა სხვადასხვა სიახლეებს.

თავი II

სპორტულ მაუწყებლობასთან დაკავშირებული რეგულაციების ანალიზი ქართულ კანონმდებლობაში

არსებობს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 22 მაისის N127 დადგენილებით დამტკიცებული სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და შესაბამისი თემატური ჯგუფების მიერ. ამ დოკუმენტზე მუშაობა მიმდინარეობდა სპორტის განვითარებისათვის აუცილებელი სამი ძირითადი მიმართულებით: 1. სპორტული ინფრასტრუქტურა; 2. სასპორტო განათლება და მეცნიერება; 3. საკანონმდებლო ცვლილებები

გარდა ამ დოკუმენტისა არსებობს საქრთველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, რომლის მთავარი მიზანი მედიის თავისუფლება და მაუწყებლობის სფეროში სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის დაცვაა

„მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო 1. ეს კანონი სიტყვისა და აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების შესაბამისად განსაზღვრავს მაუწყებლობის განხორციელების წესს, მაუწყებლობის სფეროში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნის წესსა და ფუნქციებს, ამ სფეროში საქმიანობის რეგულირების პირობებს, ლიცენზირების წესსა და პროცედურებს. 2. ამ კანონის მიზანია სახელმწიფო ჩარევისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფორმირება; მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით; სიტყვისა და აზრის თავისუფლების, მაუწყებელთა შორის კონკურენტული გარემოს სტიმულირების, ლიცენზიის მფლობელთა თანასწორობისა და დამოუკიდებლობის, სიხშირეების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა.“

თავი II. მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება

მუხლი 5. კომისია

1. მაუწყებლობის სფეროში საქმიანობას არეგულირებს კომისია. 2. კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას. კომისია არ არის სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (დაწესებულება) ან საჯარო სამართლის კორპორაცია. კომისიის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით. (27.06.2008 N 66) 3. მაუწყებლობის სფეროში კომისიის ფუნქციებია: ა) მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებების შემუშავება საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით და მათ განხორციელებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;

თავი III. საზოგადოებრივი მაუწყებლობა

მუხლი 15. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამართლებრივი სტატუსი

პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით ეს კანონი აფუძნებს ერთ საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობისათვის შექმნილი, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას. მუხლი 16. შინაარსობრივი ვალდებულებები საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება; ბ) უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის; გ) უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ; დ) საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები; ე) პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი; ვ) ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი; ზ) ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესით; (27.03.2009 N 1130) თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება; ი) ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები; კ) გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები; ლ) ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას; მ) სათანადო პროპორციით განათავსოს

უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები.

მუხლი 20. პროგრამული პრიორიტეტები

1. სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამულ პრიორიტეტებს საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების, მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. 2. სამეურვეო საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამული პრიორიტეტების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. 3. საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამები დაცულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით და მათზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი.

   მუხლი 31. საზოგადოებრივი საბჭოები

   1. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნილებების წარმოდგენის, აგრეთვე ამ კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული შინაარსობრივი ვალდებულებების განხორციელების უზრუნველსაყოფად იქმნება საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან საზოგადოების უშუალო მონაწილეობით შეიმუშაონ რეკომენდაციები საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის.

   მუხლი 30. სამეურვეო საბჭოს ფუნქციები

   სამეურვეო საბჭო:

   ა) განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს;

   მუხლი 51. პროგრამული უზრუნველყოფა

   საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობის ლიცენზიების მფლობელები, აგრეთვე საზოგადოებრივი და სათემო მაუწყებლები ვალდებულნი არიან, სადაც ეს შესაძლებელია, უზრუნველყონ სატელევიზიო დროის (ახალი ამბების პროგრამების, სპორტული მოვლენებისა და თამაშების, რეკლამის, ტელეტექსტისა და ტელეშოპინგისათვის გამოყოფილი დროის გამოკლებით) ნაწილის ევროპული წარმოების პროდუქციისათვის გამოყოფა. ევროპული პროდუქციისათვის დათმობილი დროის ეს ნაწილი გამოიყენება პროგრესულად, შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე, მაყურებელთა და მსმენელთა წინაშე ლიცენზიის მფლობელის საინფორმაციო, საგანმანათლებლო, გასართობი და კულტურული ვალდებულებების გათვალისწინებით.

თავი III

სპორტული ჟურნალისტიკის მნიშვნელობის მიმოხილვა, სიღრმისეული ინტერვიუები

სიღრმისეული ინტერვიუ: ჩვენ სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარებაში დაგვეხმარნენ ის სპორტული ჟურნალისტები, რომლებიც დღესდღეისობით ქართულ ტელე-მედიასა თუ ბეჭდურ და ონლაინ მედიაში ადგენენ დღის წესრიგს. წარმოგიდგენთ თითოეული მათგანის მოსაზრებას თანამედროვე სპორტული ჟურნალისტიკის შესახებ.

1. ლაშა დვალიშვილი (რუსთავი 2)
2. დავით ერაძე (რუსთავი 2)
3. ჯემალ ფარცახაშვილი (რუსთავი 2)
4. გიორგი პავლიაშვილი (სილქ სპორტი)
5. არჩილ ჭიჭიბოშვილი (გაზეთი სარბიელი)
6. ლუკა ჭოჭუა (საზოგადოებრივი მაუწყებელი)

ინტერვიუ N1

1.	სახელი, გვარი **ლაშა დვალიშვილი**
2.	სპორტულ ჟურნალისტიკაში თქვენი გამოცდილება რამდენ წელს ითვლის? **26 წელი**
3.	რატომ აირჩიეთ დარგობრივი ჟურნალისტიკა? **ინტერესის და ცოდნის გამო**
4.	ჩვენს ქვეყანაში სპორტული ჟურნალისტიკის ტრადიციები თუ არსებობს და რამდენად დაგეხმარათ ეს გამოცდილება? **საკმაოდ დიდი ტრადიციები არსებობს რაც გამოცდილებისთვის მნიშვნელოვანია**
5.	ჩვენს ქვეყანაში მედიასკოლებში სპორტული ჟურნალისტიკა არ იკითხება. არსებობს მისი, ასე ვთქვათ, დისციპლინად შესწავლის საჭიროება? **აუცილებელი და მნიშვნელოვანია**

6.	თქვენ როგორ შეისწავლეთ აღნიშნული დარგი და რამდენად მზად ხართ, თავად მოახდინოთ დაგროვილი ცოდნის გენერირება. **არა. ამისთვის სხვა ცოდნა და გამოცდილებაა საჭირო**
7.	თქვენს სპეციალობასთან დაკავშირებული რისკები **არ არსებობს**
8.	ჟურნალისტიკა კოლექტიურ პროდუქვიას ქმნის. მხოლოდ ჟურნალისტი სათანადო ხარისხის მასალას ვერ მოამზადებს. რამდენად გვყავს დარგში დაოსტატებული შემოქმედებითი კადრები: რეჟისორები, ოპერატორები, ხმის ჭამწერი ბუმი და სხვ. **პროფესიონალი ტექნიკური პერსონალის ნაკლებობა არ არსებობს**
9.	შეაფასეთ ქართული სპორტული ჟურნალისტიკის თანამედროვე მდგომარეობა; გამოკვეთეთ მთავარი პრობლემები. **საშუალოზე დაბალი დონე. უცოდინრობა, არაპროფესიონალიზმი, შემთხვევითი ხალხის დასაქმება, გაუნათლებლობა.**
10.	რა არის საჭირო დარგის განვითარებისთვის? **სპორტული ჟურნალისტიკის კურსების არსებობა. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები**
	გასაუბრების თარიღი:**07.09.2017**

ინტერვიუ N2

1.	სახელი, გვარი: **დავით ერაძე**
2.	სპორტულ ჟურნალისტიკაში თქვენი გამოცდილება რამდენ წელს ითვლის? **1994 წლიდან ტელეკომპანია თამარიონი, მას შემდეგ უწყვეტი შტაჟი**
3.	რატომ აირჩიეთ დარგობრივი ჟურნალისტიკა? **სპორტის სიყვარული და რწმენა იმისა რომ საკუთარ წვლილს შევიტანდი ქართული სპორტისა განვიტარებაში, ინტერესი და სიყვარული მაინც უპირველესია**
4.	ჩვენს ქვეყანაში სპორტული ჟურნალისტიკის ტრადიციები თუ არსებობს და რამდენად დაგეხმარათ ეს გამოცდილება?

ტრადიციები ნადვილად არსებობს, თუმცა გამოცდილების გაზიარების ტრადიცია არ არსებობს, სამწუხაროა რომ დამწყებ ჟურნალისტებს სწორ მიმართულებებს არ ვაძლევთ.
5. ჩვენს ქვეყანაში მედიასკოლებში სპორტული ჟურნალისტიკა არ იკითხება. არსებობს მისი, ასე ვთქვათ, დისციპლინად შესწავლის საჭიროება? **აუცილებლად, უკანასკნელ პერიოდში მომრავლებული სხვადასხვა ონლაინ საიტები და ვებპორტალები ამის საჭიროებაში კიდევ ერთხელ მარწმუნებეს.**
6. თქვენ როგორ შეისწავლეთ აღნიშნული დარგი და რამდენად მზად ხართ, თავად მოახდინოთ დაგროვილი ცოდნის გენერირება. **მზად ვარ და ვფიქრობ დიდ სიამოვნებასაც მივიღებ**
7. თქვენს სპეციალობასთან დაკავშირებული რისკები? **რისკები არსებობს, თუმცა მთავარია პირადი ურთიერთობებისა და სიმპათიების მძევალი არ გახდე**
8. ჟურნალისტიკა კოლექტიურ პროდუქვიას ქმნის. მხოლოდ ჟურნალისტი სათანადო ხარისხის მასალას ვერ მოამზადებს. რამდენად გვყავს დარგში დაოსტატებული შემოქმედებითი კადრები: რეჟისორები, ოპერატორები, ხმის ჭამწერი ბუმი და სხვ. **სიუჟეტის დროს მხოლოდ ოპერატორი და ჟურნალისტის სინქრონული ქმედება განაპირობებს მასალის ხარისხს. რეჟისორისა და ხმის ოპერატორის საკითხი უკვე დოკუმენტალისტიკის სფეროა, ე.წ. ნიუსის სფეროში ამ ფუფუნების არც დროა და არც ადგილი**
9. შეაფასეთ ქართული სპორტული ჟურნალისტიკის თანამედროვე მდგომარეობა; გამოკვეთეთ მთავარი პრობლემები? **ვფიქრობ სპორტულ ჟურნალისატიკაში კონკურენცია საკმაოდ დიდია და ეს ძალიან კარგია. პრობლემები კი ძირითადად იგივეა, რაც ქართულ სპორტში.**
10. რა არის საჭირო დარგის განვითარებისთვის? **ისევ იმ პრობლემას ვუბრუნდებით, დარგი განვითარდება თუ სპორტი იქნება პრიორიტეტი ქვეყნისთვისაც, ისეთ ქვეყანაში როგორიც საქართველოა, ეს უბრალოდ აუცილებელია. დარგი კი არ მგონია ქვეყანაში ჟურნალისტიკის რომელიმე მიმართულებაზე დაბლა იდგეს, მგონი პირიქიტაც, თუმცა შესაცვლელი ბევრია**
გასაუბრების თარიღი: **7.07.2017**

ინტერვიუ N3

1. სახელი, გვარი: **ჯემალ ფარცახაშვილი**
2. სპორტულ ჟურნალისტიკაში თქვენი გამოცდილება რამდენ წელს ითვლის? **17 წელი**
3. რატომ აირჩიეთ დარგობრივი ჟურნალისტიკა? **ამის მიზეზი იყო საინტერესო მოვლენების ეპიცენტრში ყოფნა**
4. ჩვენს ქვეყანაში სპორტული ჟურნალისტიკის ტრადიციები თუ არსებობს და რამდენად დაგეხმარათ ეს გამოცდილება? **რასაკვირველია არსებობს ტრადიციები.თუმცა დახმარებით ადამიანები გეხმარებიან, რომლებსაც მეტი გამოცდილება აქვთ მიღებული. ჩემს შემთხვევაში უდიდესი დახმარება გამიწია გიორგი სანაიამ,დიმა ობოლაძემ,ნიკა ტაბატაძემ.ამ ადამიანებმა საკუთარი ცოდნა გამიზიარეს. იგივეს ვცდილობ მეც,მინდა რომ მომდევნო თაობა უფრო წარმატებული იყოს.**
5. ჩვენს ქვეყანაში მედიასკოლებში სპორტული ჟურნალისტიკა არ იკითხება. არსებობს მისი, ასე ვთქვათ, დისციპლინად შესწავლის საჭიროება? **სპორტული ჟურნალისტიკის შესწავლა საჭიროა და აუცილებელია, რადგან არის განსხვავებული და სპეციფიკური.სულ სხვა სამყაროა,რომელიც ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდე.**
6. თქვენ როგორ შეისწავლეთ აღნიშნული დარგი და რამდენად მზად ხართ, თავად მოახდინოთ დაგროვილი ცოდნის გენერირება. **კავშირი არ მქონია ჟურნალისტიკასთან,დავამთავრე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი და მეორადი განხრით სამართლმცოდნეობის ფაკულტეტი. საბოლოოდ კი არჩევანი ჟურნალისტიკაზე გავაკეთე,კონკრეტულად კი სპორტულ ჟურნალისტიკაზე.რაც შეეხება შესწავლას, პრაქტიკამ და განსაკუთრებულმა მონდომებამ შედეგი გამოიღო. ყოველ დღე საათობით ვმუშაობდი მეტყველების გამოსწორებაზე,ვსწავლობდი მონტაჟს,ვკითხულობდი,დავდიოდი გადაღებებზე ჩემს უფროს კოლეგებთან ერთად. ჟურნალისტი უნდა იყოს განათლებული წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატების იმედი არ უნდა გქონდეს. განათლება გაძლევს თავდაჯერებულობას, მტკიცე ხასიათს და რაც მთავარია იცი კითხვის სწორად დასმა. თუ კითხვა სწორად დასვით, თქვენ უკვე გაქვთ ნახევარი პასუხი. დაგროვილი ცოდნის გენერირება რასაკვირველია აუცილებელია, ვცდილობ მიღებული ცოდნა და გამოცდილება ჩემს უმცროს კოლეგებს გაუზიარო.**

7. თქვენს სპეციალობასთან დაკავშირებული რისკები **ჟურნალისტიკა რისკის გარეშე წარმოუდგენელია. ელემენტარულად ჯანმრთელობისთვის საზიანოა, როდესაც 24 საათის მანძილზე არანორმალურ რეჟიმში მუშაობ, არანორმალურად იღლები ფიზიკურად და უფრო გონებრივად. რადგან შენს მიერ მომზადებულ სიუჟეტში თუმდაც სტატიაში ერთი შეცდომაც არ უნდა გაიპაროს, მაყურებელს უნდა მიაწოდო ობიექტური მასალა, აბსოლუტური სიმართლე. უდიდესი პასუხისმგებლობაა რომელიც უდიდეს ენერგიას მოითხოვს.**
8. ჟურნალისტიკა კოლექტიურ პროდუქვიას ქმნის. მხოლოდ ჟურნალისტი სათანადო ხარისხის მასალას ვერ მოამზადებს. რამდენად გვყავს დარგში დაოსტატებული შემოქმედებითი კადრები: რეჯისორები, ოპერატორები, ხმის ჭამწერი ბუმი და სხვ. **მხოლოდ ჟურნალისტი ან მხოლოდ ოპერატორი არასწორი მიდგომაა, ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ნებისმიერ გადაწყვეტილებას ერთად ვიღებთ. რუსთავი 2-ის შემთხვევაში თამამად შემიძლია ვთქვა რომ საუკეთესო გუნდთან ერთად ვმუშაობ, რაც ჩემთვის უდიდესი პატივია.**
9. შეაფასეთ ქართული სპორტული ჟურნალისტიკის თანამედროვე მდგომარეობა; გამოკვეთეთ მთავარი პრობლემები. **ქართული სპორტული ჟურნალისტიკა რბილად რომ ვთქვათ სტაბილურად მძიმე მდგომარეობაშია. მთავარი პრობლემა გაუნათლებლობაა ანუ საკმარისი ცოდნის არქონა.**
10. რა არის საჭირო დარგის განვითარებისთვის? **სათანადო ცოდნის მიღება,სწავლა და განათლება.**
გასაუბრების თარიღი: **8.07.2017**

ინტერვიუ N4

1. სახელი, გვარი: **გიორგი პავლიაშვილი**
2. სპორტულ ჟურნალისტიკაში თქვენი გამოცდილება რამდენ წელს ითვლის? **6-7 წელს**

3.	რატომ აირჩიეთ დარგობრივი ჟურნალისტიკა? **სპორტის სიყვარულის გამო**
4.	ჩვენს ქვეყანაში სპორტული ჟურნალისტიკის ტრადიციები თუ არსებობს და რამდენად დაგეხმარათ ეს გამოცდილება? **სპორტული ჟურნალისტიკის ტრადიცია, ჩვენს ქვეყანაში, ძირითად შემთხვევებში მოიცავდა, რამდენიმე საინტერესო და ხარისხიან ბეჭდური გამოცემას, რომელიც ბუნებრივია ხელს უწყობდა მომავალი თაობის მეტად დაინტერესებას და აღნიშნულ სფეროში ჩაბმას**
5.	ჩვენს ქვეყანაში მედიასკოლებში სპორტული ჟურნალისტიკა არ იკითხება. არსებობს მისი, ასე ვთქვათ, დისციპლინად შესწავლის საჭიროება? **ვფიქრობ, სტუდენტისა და დაინტერესებული პირებისთვის საინტერესო იქნება, საგანი სპორტული ჟურნალისტიკა, რომელსაც რომელიმე ცნობილი და ამ საქმეში გამოცდილი პიროვნება გაუძღვება**
6.	თქვენ როგორ შეისწავლეთ აღნიშნული დარგი და რამდენად მზად ხართ, თავად მოახდინოთ დაგროვილი ცოდნის გენერირება. **ზოგადად ჟურნალისტიკის, ისევე როგორც სპორტული ჟურნალისტიკის თეორიულ დონეზე შესწავლა, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი რამ არის, ცოდნის და შესაძლებლობების გაღრმავება ხდება დაგროვილი პრაქტიკითა და სფეროში ყოველდღიური ჩართულობით, რაც თავისთავად მოიცავს, როგორც ახალი ცოდნის მიღებას, ისე მის გაცემას.**
7.	თქვენს სპეციალობასთან დაკავშირებული რისკები: **არცისე დიდი მოთხოვნადობა, ბევრი კანდიდატი და ცოტა სამუშაო ადგილი, თუმცა თანამედროვე, ახალი მედიის პირობებში, ნებისმიერ სპორტულ ჟურნალისტს ეძლევა, კარგი შანსი თავად შეიქმნას სამუშაო გარემო და აქციოს პროფესია შემოსავლის წყაროდ.**
8.	ჟურნალისტიკა კოლექტიურ პროდუქვიას ქმნის. მხოლოდ ჟურნალისტი სათანადო ხარისხის მასალას ვერ მოამზადებს. რამდენად გვყავს დარგში დაოსტატებული შემოქმედებითი კადრები: რეჯისორები, ოპერატორები, ხმის ჭამწერი ბუმი და სხვ. **არიან პრეოფესიონალი კადრები , თუმცა არცისე დიდი რაოდენობით, ვფიქრობ ამ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში, ჟურნალისტებისა და აღნიშნული დარგების სპეციალისტების დონე, ხარისხობრივად დაახლოებით იდენტურია.**
9.	შეაფასეთ ქართული სპორტული ჟურნალისტიკის თანამედროვე მდგომარეობა; გამოკვეთეთ მთავარი პრობლემები. **არაპროფესიონალიზმი, ინტელექტისა და ნიჭის, კრიტიკული აზროვნების ნაკლებობა, თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა, სამწუხაროდ, იშვიაში**

გამონაკლისების გარდა, საკმაოდ დაბალი დონისაა
10. რა არის საჭირო დარგის განვითარებისთვის? **სფეროში მომუშავე პირთა კეთილსინდისიერება, მონდომება და ნიჭი, რასაც ბუნებრივია ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ მაღალი დონის სასწავლებლებით, რათა ახალგაზრდამ ფუნდამენტშივე მიიღოს, გარკვეული საბაზისო ცოდნა, რომელსაც შემდგომში განავითარებს**
გასაუბრების თარიღი: **8.07.2017**

ინტერვიუ N5

1.სახელი, გვარი **არჩილ ჭიჭიბოშვილი**
2. სპორტულ ჟურნალისტიკაში თქვენი გამოცდილება რამდენ წელს ითვლის? **15 წელი**
3. რატომ აირჩიეთ დარგობრივი ჟურნალისტიკა? **ბავშვობიდან სპორტის განსაკუთრებული სიყვარულის გამო**
4. ჩვენს ქვეყანაში სპორტული ჟურნალისტიკის ტრადიციები თუ არსებობს და რამდენად დაგეხმარათ ეს გამოცდილება? **ტრადიციები რა თქმა უნდა არსებობს. ჯერ კიდევ ძალიან პატარა ასაკიდან სპორტულ პრესას ვეცნობოდი გაზეთ „ლელოში“. შესაბამისად დამეხმარა.**
5. ჩვენს ქვეყანაში მედიასკოლებში სპორტული ჟურნალისტიკა არ იკითხება. არსებობს მისი, ასე ვთქვათ, დისციპლინად შესწავლის საჭიროება? **რა თქმა უნდა საჭიროა. ჩემ შემთხვევაში, ვინაიდან გაზეთ „სარბიელში“ ვწერ სპორტულ სტატიებს ასე ვუყურებ, რომ საჭიროა, თუმცა გააჩნია ვინ წაიკითხავს.**
6. თქვენ როგორ შეისწავლეთ აღნიშნული დარგი და რამდენად მზად ხართ, თავად მოახდინოთ დაგროვილი ცოდნის გენერირება. **ძალიან პატარა ასაკიდან ვკითხულობ სპორტულ ლიტერატურას და პრესას ორ ენაზე. რაც შეეხება დაგროვილი ცოდნის გენერირებას, სიამოვნებით. თუ შემეძლება, რომ მომავალ თაობას რამეში გამოვადგე აუცილებლად დავეხმარები.**
7. თქვენს სპეციალობასთან დაკავშირებული რისკები **რისკები არსებობს. ჩემი აზრით ისეთ პოლიტიზირებულ ქვეყანაში როგორიც საქართველოა, სპორტი მეორე პლანზე გადადის და ეს სამწუხაროა.**

8. ჟურნალისტიკა კოლექტიურ პროდუქვიას ქმნის. მხოლოდ ჟურნალისტი სათანადო ხარისხის მასალას ვერ მოამზადებს. რამდენად გვყავს დარგში დაოსტატებული შემოქმედებითი კადრები: რეჯისორები, ოპერატორები, ხმის ჭამწერი ბუმი და სხვ. **გამომდინარე იქიდან, რომ გარდა სტატიების წერისა ვარ პროფესიონალი ოპერატორი, ხშირად საკუთარ მასალას თავად ვიღებ. პროფესიონალები ნამდვილად გვყავს.**
9. შეაფასეთ ქართული სპორტული ჟურნალისტიკის თანამედროვე მდგომარეობა; გამოკვეთეთ მთავარი პრობლემები. **საშუალო დონე. მთავარი პრობლემა არაპროფესიონალიზმი.**
10. რა არის საჭირო დარგის განვითარებისთვის? **პროფესიონალი კადრების დაწინაურება და ნეპოტიზმთან ბრძოლა.**
გასაუბრების თარიღი: **7.07.2017**

ინტერვიუ N6

1. სახელი, გვარი: **ლუკა ჭოჭუა**
2. სპორტულ ჟურნალისტიკაში თქვენი გამოცდილება რამდენ წელს ითვლის? **5 წელია ჟურნალისტი ვარ**
3. რატომ აირჩიეთ დარგობრივი ჟურნალისტიკა? **ვარ ყოფილი სპორტსმენი, ვწერდი ბავშვობიდან ბლოგებს და ა.შ. ბუნებრივად მოხდა**
4. ჩვენს ქვეყანაში სპორტული ჟურნალისტიკის ტრადიციები თუ არსებობს და რამდენად დაგეხმარათ ეს გამოცდილება? **უდიდესი ტრადიციები არსებობს სპორტული ჟურნალისტიკის და განსაკუთრებით კომენტატორობის, რაც რა თქმა უნდა ახალგაზრდებს აძლევს მოტივაციას ამ სფეროში მოცადონ ბედი. თავად მეც მეხმარება რა თქმა უნდა, როგორც ქართველ გამოცდილ სპორტულ ჟურნალისტთა კითხვა/მოსმენა/ყურება, ასევე უცხოელ ჟურნალისტებზე დაკვირვება.**

5.	ჩვენს ქვეყანაში მედიასკოლებში სპორტული ჟურნალისტიკა არ იკითხება. არსებობს მისი, ასე ვთქვათ, დისციპლინად შესწავლის საჭიროება? **გადაჭრით რთული სათქმელია. ზოგადად სპორტი როგორც დარგი არის მივიწყებული საგანმანათლებლო დონეებზე. ჩემი აზრით ჟურნალისტის ფაკულტეტზე მსურველს უნდა შეეძლოს სპორტული საგნების აღებაც,. უშუალოდ სპორტული ჟურნალისტიკის ფაკულტეტი რამდენად უნდა არსებობდეს არ ვიცი.**
6.	თქვენ როგორ შეისწავლეთ აღნიშნული დარგი და რამდენად მზად ხართ, თავად მოახდინოთ დაგროვილი ცოდნის გენერირება. **სპორტის სწავლა ორი გზით შეიძლება – ერთი თავად უნდა იყო ჩართული, ხოლო მეორე უყურო და იკითხო ძალიან ბევრი. ამიტომაც არ მჯერა იმ ადამიანების პროფესიონალობის, რომლებიც თვლიან, რომ თანაბრად კარგად ერკვევიან სპორტის 5-6 სახეობაში. ფიზიკურად შეუძლებელია (რადგან დღეღამეში 24 საათია), სპორტის ამდენ სახეობას სრულყოფილად ადევნო თვალი.** **სპორტის ცოდნა თან არაა ფიქსირებული ცოდნა. ამაში ის მეხმარება, რომ იურისტი ვარ, რადგან კანონებიც იმავე სიხშირით იცვლება, რა სიხშირითაც რაგბის წესები :) . სპორტი მუდმივი ცვლილებების სფეროა და ამას აუცილებლად ფეხი უნდა აუწყო. თუკი ერთი თვით მაინც ჩამორჩი მოვლენებს, რთულია ადეკვატური დარჩე დასკვნების გამოტანისას.**
7.	თქვენს სპეციალობასთან დაკავშირებული რისკები **უპირველესი რისკი ალბათ სწორედ უგულისყურობა და ფაქტების გადამოწმების გარეშე გაჟღერებაა. სწორედ ასეთ დროს უშვებენ სპორტული ჟურნალისტები შეცდომებს**
8.	ჟურნალისტიკა კოლექტიურ პროდუქვიას ქმნის. მხოლოდ ჟურნალისტი სათანადო ხარისხის მასალას ვერ მოამზადებს. რამდენად გვყავს დარგში დაოსტატებული შემოქმედებითი კადრები: რეჟისორები, ოპერატორები, ხმის ჩამწერი ბუმი და სხვ. **სამწუხაროდ პროფესიონალი კადრების ნაკლებობა შეიმჩნევა, როგორც ბევრ სხვა სფეროში, თუმცა თუკი კარგ პროდუქციას ქმნი და სათანადო რესურსი გაქვს ბაზარზე სრულიად შესაძლებელია მაღალი რანგის პროფესიონალების მოძიება**
9.	შეაფასეთ ქართული სპორტული ჟურნალისტიკის თანამედროვე მდგომარეობა; გამოკვეთეთ მთავარი პრობლემები. **ასე მოკლედ რთული შესაფასებელია. მაღალ დონეზე ნამდვილად არ არის დღევანდელი სპორტული ჟურნალისტიკა.** **სამომავლოდ ვისურვებდი ბაზარზე გამოჩნდეს სრულყოფილი სპორტული ვებ-გვერდი, სადაც დაინტერესებულ პირს შეეძლება ყველანაირი**

სპორტული ინფორმაციის მოძიება, ისე რომ მის სანდოობაში ეჭვი არ შეეპარება. **მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაშუქდეს არა მხოლოდ პოპულარული სახეობები, არამედ სხვა დანარჩენიც.**
10. რა არის საჭირო დარგის განვითარებისთვის? **უპირველეს ყოვლისა ადამიანური და ფინანსური რესურსის მოზიდვა, რაც იქნება გარანტია ხარისხიანი პროდუქციის. უმნიშვნელოვანესია განათლების სისტემის ჩართულობაც და სათანადო გადამზადების კურსები პროფესიონალებისათვის.**
გასაუბრების თარიღი: **7/07/2017**

ბიბლიოგრაფიის გაცნობისა და საერთო გამოკითხვის გარდა, ჩვენ ჩავატარეთ სიღრმისეული გამოკითხვაც რამდენიმე სპორტული ჟურნალისტიკის წარმომადგენელთან. მათ უმეტესობას დიდი გამოცდილება აქვთ და უკეთესადაც ხედავენ სპორტული ჟურნალისტიკის დღევანდელ პრობლემებს. თავდაპირველად უნდა ავღნიშნოთ რომ ყველა მათგანი სპორტის განსაკუთრებულმა სიყვარულმა, ინტერესმა მოიყვანა ამ სფეროში და ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. ვფქირობთ რაც არ უნდა პროფესიონალი იყოს ჟურნალისტი, თუ სპორტით დაინტერესებული არ არის ვერ გახდება კარგი სპორტული ჟურნალისტი. ჩვენს მიერ გამოკითხულთა უმეტესობას პრაქტიკული ცოდნა აქვს მიღებული და არა თეორიული. სამწუხაროდ არ არსებობს სპორტული ჟურნალისტიკა როგორც განხრა, რომელიც შეიძლება რომელიმე კერძო თუ სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლებოდეს და სწორე ამას აღნიშნავენ ჩვენი რესპოდენტებიც. ზოგი მათგანი სურვილსაც გამოთქვამს ამ სწავლებაში ჩაერთოს არსებობის შემთხვევაში. მათ უმეტესობას დამოუკიდებლად გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, ლიტერატურიდან და ტელევიზიიდან აქვთ დაგროვილი ცოდნა და აღნიშნავენ რომ აუცილებელია ახალმა თუ ძველმა თაობამაც მუდმივად თვალი ადევნონ სპორტში მომხდარ სიახლეებს, რადგან ხშირად იცვლება წესები ამა თუ იმ სპორტის სახეობაში და შეუძლებელია კომპეტენტური შეფასება ან კომენტარი გააკეთო თუ ეს წესების ცვლილება გამოგრჩა. მთავარ პრობლემად მაინც გაუნათლებლობას და პროფესიონალიზმის დაბალ დონეს გამოკვეთავენ. ხშირია ნეპოტიზმის პრობლემაც, არასწორედ დასაქმებული ადამიანები ე.წ. ,,ახლობლობის“ საფუძველზე. რესპოდენტები ერთხმად აღნიშნავენ რომ ბევრი კარგი პროფესიონალის მოძებნა შეიძლება ბაზარზე, თუმცა მათ მუდმივად სჭირდებათ განვითარება და მოვლენების ეპიცენტრში ყოფნა.

გამოკითხულები აღნიშნავენ რომ გარდა ჟურნალისტებისა თავად ქვეყანაც მეტად უნდა იყოს სპორტის განვითარებაში ჩართული, რადგან ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, სპორტი მართლა ერთერთი მნიშვნელოვანი დარგია განვითარებისთვის. სპორტული ჟურნალისტის უკან დგას ოპერატორი, მემონტაჟე, რეჟისორი და საერთოდ მთელი გუნდი. გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავს რომ მთავარია ჟურნალისტის პროფესიონალი რადგან ტექნიკური ჯგუფის ხარისხი ისედა მაღალ დონეზეა, მეორე ნაწილი კი გამოთქვამს მოსაზრებას რომ ეს ერთი გუნდია და ყველამ ერთად უნდა შექმნას კარგი პროდუქტი. საბოლოო ჯამში, თუ შევაჯამებთ მონაცემებს, გამოიკვეთა სამი მთავარი პრობლემა : 1. არაპროფესიონალიზმი; 2.გაუნათლებლობა და 3. ნეპოტიზმი -,,შემთხვევითი“ კადრები და გამოიკვეთა 3 მთავარი საშუალება ამ პრობლემის მოსაგვარებლად: 1. ქვეყნის მეტი ჩართულობა სპორტში; 2. სპურტული ჟურნალისტიკის მიმართულებით სპეცილური კურსების შექმნა და 3. სწორი კადრების შერჩევა

ქართული სპორტული ჟურნალისტიკა დიდ ისტორიას მოიცავს. თუმცა გარკვეული პერიოდი იყო ჩავარდნები, რასაც უკეთესაც ბიბლიოგრაფიის მიმოხილვაში გაეცნობით. დღეისათვის ბევრად გააქტიურებულია ეს სფერო, ბევრი ახალი, მონდომებული თაობა მოდის, ახალი იდეებით, ახალი შემართებით. ქართულ ბაზარზე დღეისათვის საკმაოდ ცოტა თოქშოუ ეძღვნება სპორტს, სადაც სიღრმისეულად იქნებოდა სპორტის სიახლეებიც და პრობლემებიც განხილული. სწორედ ესაა ჩვენი პროექტის მთავარი სათქმელიც, სწორედ ამიტომ იქმნება ეს გადაცემა.

დასკვნა

ტელევიზიის განვითარებას თავისი საფეხურები აქვს და დროთა განმავლობაში უფრო მეტი ფორმა და საშუალებაა ინფორმაციის მრავალფეროვნად და უფრო საინტერესოდ გადმოსაცემად.

ჩვენი სამაგისტრ ონაშრომი სწორედ მედიაპროდუქტია, რომელიც მთლიანად სპორტს დაეთმობა. სამაგისტრო ნაშრომის არჩევისას ყველას გვქონდა საშუალება საკუთარი არჩევანი შეგვეჩერებინა კვლევასა თუ პროექტზე. ჩვენ ცოცხალი ორგანიზმი, მედიაპროდუქტი ავირჩიეთ და სპორტული თოქ-შოუს მომზადება გადავწყვიტეთ, თუმცასაბოლოო პროექტის გაკეთებამდე საჭირო იყო ამ პროდუქტის კარგად დამუშავებ, კვლევის ჩატარება და ამ კვლევაზე დაყრდნობით გადაცემის სწორი მიმართულებით წარმართვა.

ჩვენი გადაცემა „სპორტ-ტრიბუნ“ გავა ყოველ პარასკევს 23:00 საათზე. გათვლილი იქნება მაყურებელთა იმ კონტიგენტზე, რომელიც აქტიურად და შესაძლოა უბრალოდ სამოყვარულო დონეზე მაინც არის ჩართული სპორტში. თოქ-შოუ 23 წუთიან ორ ნაწილად და სამ ბლოკად დაიყოფა, სამი სარაკლამო ჭრით. პირველი ბლოკი დაეთმობა იმ კონკრეტული პერიოდის აქტუალურ თემას. მოწვეულები იქნებიან კომპეტენტური სტუმრები, რომლებიც ამომწურავად უპასუხებენ ჩვენს მიერ დასმულ კითხვებს და ისაუბრებენ სხვადასხვა პრობლემატურ თემებზე. გადაცემა მოიცავს საშუალოდ სამ სიუჟეტს. აქედან ერთი გავა გადაცემის პირველ ნაწილში, ხოლო მეორე სიუჟეტი გადავა მეორე ნაწილში, გაგრძელდება იმავე თემაზე საუბარი შესაძლოა სხვა სტუმართან ერთად. გადაცემას დაასრულებს მესამე ბლოკი, რომელიც დაეთმობა ქართული სპორტის რომელიმე ლეგენდარულ წარმომადგენელს.

დღევანდელ სპორტულ მედიაში არსებობს სპორტული არხები (სილქ სპორტ უნივერსალი, სილქ სპორტ 1, სილქ სპორტ 2, სილქ სპორტ 3, რაგბი TV, სეტანტა ჯორჯია, სპორტი საზოგადოებრივზე), რომლებიც მთლიანად სპორტს ეძღვნება და ხდება სხვადასხვა შეჯიბრის/თამაშის ჩვენება, თუმცა ამ არხებზე გარდა სპორტი საზოგადოერვივისა არ არის თოქ-შოუები მოწვეულისტუმრებით და სხვადასხვა სპორტზე, სხვადასხვა პერიოდზე მსჯელობით.

ბიბლიოგრაფია:

1. „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მეცნიერებაში“ - ლია წულაძე

2. ელდარ იბერი - „საქართველოს ტელევიზიის ისტორია“

3. ნატო თათარაშვილი - „ტელეჟურნალისტიკის საკითხები“

4. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი

goo.gl/ySqZJV

5. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ
http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/kavshirgabmuloba/mauckebloba.pdf

6. Sports journalism, Still the `toy department' of the news media? David Rowe First Published August 1, 2007 Research Article, http://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/1464884907078657;

7. Strength in Numbers? the Experiences and Attitudes of Women in Sports Media Careers Marie Hardin, Stacie Shain First Published December 1, 2005;
8. Pretty Versus Powerful in the Sports Pages, Print Media Coverage of U.S. Women's Olympic Gold Medal Winning Teams, Ray Jones, Audrey J. Murrell, Jennifer Jackson First Published May 1, 1999 Research Article, http://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/0193723599232005 ;

9. Media Coverage of the Female Athlete Before, during, and after Title IX: Sports Illustrated Revisited, Mary Jo Kane, http://journals.humankinetics.com/doi/abs/10.1123/jsm.2.2.87

10. http://www.nplg.gov.ge

დანართი:

1.ფოტო

ახალგაზრდა კომუნისტი
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲘ— ᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲐ
ᲬᲔᲠᲘᲚᲘ
ᲣᲜᲧᲕᲔᲢᲘ ᲙᲐᲤᲘ
ᲡᲐᲛᲝᲪᲘ ᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲘ
ᲣᲔᲤᲐ-Ს ᲙᲝᲔᲤᲘᲪᲘᲔᲜᲢᲘ
ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ



2.ხარჯთაღრიცხვა

აპარატურის შესაძენი ხარჯი

	აპარატურა	მოდელი	რაოდენობა	ფასი	ჯამი
1	კამერის ტანი	Canon 7D Marc2	3	4200	12600
2	აკუმულატორი	REDPRO RP – LPE6	6	123	735
3	აკუმულატორის ადაპტერი	CANON BG-E16	3	840	2520
4	ობიექტივი	CANON EF16-35mm f/2.8L II USM Lens	1	4080	4080
5	ობიექტივი	CANON EF24-70mm f/2.8L II	1	5400	5400
6	ობიექტივი	Canon EF 50mm f/1.4 USM Lens	1	1368	1368
7	მეხსირების ბარათი	Wise SDHC UHS – I 32GB Card-1000x	6	75	450
8	მეხსირების ბარათის წამკითხველი	Transcend RDF5 USB 3.0 SDHC/SDXC microSDHC/SDXC	3	34	102
9	მეტბოქსის კომპლექტი	Neewer Aluminum Film Movie Kit System Rig for Canon	2	729	1458
10	კამერის შტატივი	LIBEC TH650HD	3	628	1884
11	რადიო მიკროფონი	Sennheiser EW112PG3	3	1884	5652
12	განათება	Dedolight Classic 150W	3	1690	5070
13	ბუმი	Rode NT complect	1	3447	3447
14	სამონტაჟო კომპიუტერი	PROCESSOR I-7 2.6 GHz, RAM-	3	4200	12600

		16GB,			
15	ლეპტოპი	PROCESSOR I-7 2.6 GHz, RAM-16GB,	1	4300	4300
16	დეკორაცია		1	2000	2000
17	გადაცემის ქუდის და ტიხრების მომზადება		1	1500	1500
					61566

ყოველთვიური ხარჯი

	პოზიცია	**რაოდენობა**	**ანაზღაურება**	**ჯამი**
1	რეჟისორი	1	1000	1000
2	წამყვანი/ავტორი	1	1000	1000
3	ჟურნალისტი	2	700	1400
4	ოპერატორი	3	700	2100
5	მემონტაჟე	3	700	2100
6	პროდიუსერი	2	800	1600
7	რედაქტორი	1	800	800
8	ხმის ოპერატორი (ბუმი)	1	700	700
9	მძღოლი/საწვავი	1/150ლ.	600/300	600/300
10	ვიზაჟისტი	1	150	150
11	სტუდიის ქირაობა	1	2000	2000

				13750

3.სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი:

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

Merab Kuparadze

Nato Arabuli

Sport Project ,,Sport-Tribune,,

MA Programme: Media and New Technologies

MA Laboure done Master of Journalism to gain academic degrees

Head of the MA Thesis:

Nino Chalaganidze

Tbilisi 2017

4.სცენარები

N	გამოსახულება	ტექსტი/ხმა/მუსიკა/ხმაური
1	საქართველო–კანადის მატჩის საწყისი ეპიზოდი.	https://www.youtube.com/watch?v=OFHy1QBsspo&t=103s
2	კადრი მატჩის მიმოხილვიდან, სადაც საქართველოს ნაკრები დებს ლელოს	https://www.youtube.com/watch?v=OFHy1QBsspo&t=103s ჩემი ტექსტი: საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ზაფხულის ტესტ მატჩებიდან შეიძლება ითქვას, რომ დადებითი შედეგით დაბრუნდა. ბორჯღალოსნებმა სამი მატჩი გამართეს და 2 მოგებითა და ერთი მარცხით დაბრუნდნენ სამშობლოში. პირველი მატჩი ეროვნულმა ნაკრებმა კანადაში ქალაქ ქალგარიში გამართა კანადის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ და 13–0 დაამარცხა მეტოქე. მატჩის საუკეთესო მოთამაშე ჩვენი ნაკრების ფულ ბექი მერაბ კვირიკაშვილი იყო, რომელმაც მიითვალა მატჩის ცამეტივე ქულა. საბოლოოდ ჩვენსა და კანადას შორის ურთიერთ შეხვედრებში ანგარიში გათანაბრდა 3–3.
3	კადრი	

	საქართველოსა და აშშ-ს ნაკრებებშ შორის	https://www.youtube.com/watch?v=vEkEsij7n5c&t=75s
4	ლელოს კადრები საქართველოს ნაკრების შესრულებით.	https://www.youtube.com/watch?v=vEkEsij7n5c&t=75s ჩემი ტექსტი: რიგით მეორე მატჩი ჩვენმა ნაკრებმა ჯორჯიის შტატში, ქალაქ ატლანტაში გამართა ამერიკის ნაკრების წინააღმდეგ. მატჩის დებიუტშივე თავის გამოჩენა მერაბ კვირიკაშვილმა შეძლო და ბურთი ამერიკის ჩათვლის მოედანზე დაამიწა, თუმცა თავისი ლელოს გარდასახვა ვეღარ მოახერხა და 5–0 წინ გავედით. ამის შემდგომ ამერიკელების ერთ ჯარიმას ჩვენ ორი ჯარიმით და გარდასახული ლელოთი ვუპასუხეთ და შესვენებაზე დიდი უპირატესობით გავედით, 18–3. მატჩის მეორე ტაიმში ამერიკელები გააქტიურდნენ და ბოლო წუთებზე ანერვიულეს როგორც საქართველოს ნაკრები ისე გულშემატკივარი. საბოლოო ანგარიში კი მაინ ჩვენს სასაქგებლოდ 21–17 დაფიქსირდა.
5	კადრები საქართველოსა და არგენტინის მატჩიდან	https://www.youtube.com/watch?v=VnYO9olwVIU
6	კადრი მატჩის მიმოხილვიდან, სადაც საქართველოს ნაკრები დებს ლელოს	https://www.youtube.com/watch?v=VnYO9olwVIU ჩემი ტექსტი: ზაფხულის ტურნეს ბოლო მატჩი ბორჯღალოსნებს არგენტინაში, ქალაქ ხუხუიში ჰქონდათ არგენტინის

		ძალიან ძლიერი ნაკრების წინააღმდეგ. როგორც მოსალოდნელი იყო არგენტინელებმა თავიდანვე მოიპოვეს სათამაშო უპირატესობა. საქართველოს ნაკრები მეორე ტაიმში უფრო გააქტიურდა და ქულების მოპოვებაც შეძლო. შესაბამისად მსოფლიოს ერთ–ერთ უძლიერეს ნაკრებთან 16 ქულიანი სხვაობით დავმარცხდით, რაც დიდად უკმაყოფილების საფუძველს ქართველ გულშემატკივარს არ აძლევდა. საბოლოო ჯამში ზაფხულის ტესტები სარაგბო ექსპერტებმა და გულშემატკივრებმა დადებითად შეაფასეს.